ადგილობრივი ინიციატივები განვითარებისთვის

Brot für die Welt

CIPDD
მშვიდობის, დემოკრატიის და
განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

2016

ადგილობრივი ინიციატივები განვითარებისთვის

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

დეკემბერი, 2016

გამოცემა მომზადდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტის „ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში.

გამოცემაზე მუშაობდნენ: თიკო ტყეშელაშვილი, მერაბ ცინდელიანი, ასლან ჭანიძე, გიორგი ანდღულაძე, ირმა ზურაბაშვილი და მიხეილ ჩიტაძე.

პროექტში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით მახარე მაცუკატოვს, მაია ბერიძეს, ნინო ლომიძეს, გიორგი ლონდარიძეს, ბელა აფრიამაშვილს, მარინე ზალალიანს, ქეთევან ადეიშვილს, ლამზირა აფაქიძეს, არჩილ კახაძეს, ეკატერინე ბარამიძეს, თემურ ზოიძეს, რუსლან გელაძეს, ბაქარ გელაშვილს, ლიკა შერაზადიშვილს, ნაილე დავითაშვილს, კახაბერ სეხნიაშვილს, ავთანდილ ისკიანდაროვს, გურამ კახაძეს, საბინა ტალიბოვას, შორენა წიკლაურს, არმენ არუთინოვს, ანა ხუციშვილს, ხათუნა ციხელაშვილს.

შინაარსი

შესავალი 1

აჭარა 5

სამცხე-ჯავახეთი 11

ქვემო ქართლი 17

შიდა ქართლი 21

პროექტის ძირითადი მიგნებები 27

დანართი I – აჭარა 32

დანართი II – სამცხე-ჯავახეთი 38

დანართი III – ქვემო ქართლი 42

დანართი IV – შიდა ქართლი 48

ISBN 978-99928-37-47-4

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2016

თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 72
ტელ. 2355154, ფაქსი 2355754
www.cipdd.org

შესავალი

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტის – **ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივი განვითარებისთვის** – გამოცდილების საფუძველზე. პროექტი 2014-2016 წლებში განხორციელდა ორგანიზაცია „პური მსოფლიოსთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. ის მიზანად ისახავდა განვითარების ხელშეწყობას ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით და შერჩეული პრობლემის მოგვარებაზე მიმართული კონკრეტული ინიციატივების განხორციელების გზით.

გამოცემაში აღწერილია ოთხ რეგიონში – ***აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი*** – სამიზნე დასახლებებში გამოვლენილი პრობლემები და მათზე რეაგირების ცალკეული შემთხვევები. მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემები ფართო სპექტრისაა, თუმცა შესაძლებელია გამოიყოს დასახლების ტიპისთვის და ცალკეული რეგიონისთვის დამახასიათებელი საკითხები. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მცირერიცხოვან დასახლებებში არსებულ გამოწვევებს.

მოსახლეობიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, თითქმის ყველა სამიზნე დასახლებაში უდიდეს გამოწვევას ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. ადგილობრივი განვითარების პროცესში არანაკლებ პრობლემურია მოსახლეობის ინფორმირებულობის და სამოქალაქო ცნობიერების დონე, ასევე, საერთო საქმის გარშემო სათემო მობილიზაციის სირთულე. აღსანიშნავია ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამოცდილების და რეგულარული კომუნიკაციის უქონლობა, ასევე, უმეტეს შემთხვევაში იმის იმედის უქონლობა, რომ ხელისუფლება მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემებზე რეაგირებას მოახდენს.

სამიზნე რეგიონებიდან მიღებული პრობლემების და მათზე რეაგირების გამოცდილების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი განვითარებისთვის და აუცილებელია, რომ ისინი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის პრიორიტეტებში მოექცეს. ასეთი საკითხებია ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდებისთვის განვითარების შესაძლებლობების შექმნა, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ძეგლების და უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის ინიცირება და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ინოვაციური მეთოდების დანერგვა.

ჩვენი პროექტის ამოცანას წარმოადგენდა ისეთი მაგალითების შექმნა, რომლებიც თვალსაჩინოდ აჩვენებ-

და, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების მოგვარება შესაძლებელია ერთობლად სხვადასხვა აქტორის ჩართულობით, ინოვაციური, ეფექტური და ხარჯეფექტიანი მეთოდებით. დადებითი შედეგის მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის აქტიურობას და თანამშრომლობას ადგილობრივ დონეზე. სწორედ ის ინიციატივები იყო ყველაზე წარმატებული, რომელთა განხორციელებისას კომუნიკაცია და თანამშრომლობა შედგა ორ ან რამდენიმე დაინტერესებულ მხარეს შორის – თემს, ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციას და კერძო სექტორს შორის.

მომდევნო თავში მოცემულია ინფორმაცია პროექტის მიზნების და მიდგომების შესახებ. შემდეგ განხილულია პრობლემები სამიზნე რეგიონების მიხედვით და აღწერილია მათზე რეაგირების კონკრეტული შემთხვევები. ბოლო თავში შეჯამებულია პროექტის ძირითადი მიგნებები და ადგილობრივი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებზე მუშაობა და შემდგომი ადვოკატირება არის საჭირო.

პროექტის შესახებ

პროექტის ფარგლებში ოთხ სამიზნე რეგიონში – ***აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი*** – შეირჩა 23 მუნიციპალიტეტი, მათ შორის – ოთხი თვითმმართველი ქალაქი, 19 მუნიციპალური ცენტრი, 46 სოფელი. შესაბამისად, თითოეულ მუნიციპალიტეტში შერჩეული იყო ქალაქი/დაბა და ორი სოფელი, თვითმმართველი ქალაქის შემთხვევაში – სხვადასხვა უბანი. შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი იყო სამიზნე დასახლებებს შორის განსხვავება სხვადასხვა მახასიათებლის, მათ შორის, დასახლების ტიპის, პრობლემატიკის, ზომის, გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის რაოდენობის და ეთნიკურ-რელიგიური კუთვნილების მიხედვით.

პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ოთხი რეგიონული კოორდინატორი და 23 მოხალისე თითოეული მუნიციპალიტეტიდან. მოხალისეების გამოცდილებაც განსხვავებული იყო.

პროექტი სამ ეტაპს მოიცავდა:

პირველ ეტაპზე შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით მომზადდნენ მოხალისეები და ჩატარდა სათემო შეხვედრები.

პირველი ეტაპის სათემო შეხვედრებში პრობლემების იდენტიფიცირების პროცესში 1776-მა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყო 60% მამაკაცი და 40% ქალი. თითოეულ თემში დასახელდა სამი პრიორიტეტული პრობლემა, რამაც საერთო ჯამში 207 პრობლემა შეადგინა. ამ შეხვედრაზე დასახელდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრებიც, რომელთაც შემდეგ ეტაპზე აქტიური როლი უნდა შეესრულებინათ პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგიების შემუშავებაში, თემის მობილიზებასა და სათემო ინიციატივების დაგეგმვა-განხორციელებაში. კავკასიური ინსტიტუტის გუნდი ინტენსიურად მუშაობდა მათთან, კონსულტაციას და დახმარებას უწევდა მომდევნო ეტაპებზე.

ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი პრობლემები: სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდება, შიდა გზების გაუმართაობა, სპორტული მოედნები და სკვერები, ასევე, ახალგაზრდული ცენტრები და საბავშვო ბაღები, მათ გარემონტება-აღჭურვასთან დაკავშირებული საკითხები.

დასახელდა სხვა საკითხებიც, მათ შორის, მაწანწალა ძაღლებთან დაკავშირებული საფრთხე, ამბულატორიების უქონლობა ან აღჭურვის პრობლემა, ვეტერინარული სამსახურების საჭიროება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა, გარე განათება, დასუფთავება და ნარჩენების გატანა, წყალარინება და გაზიფიკაცია. დასახელებულ პრობლემათა უმეტესობა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება[1], ამიტომ პრობლემებზე რეაგირების პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

ოთხივე სამიზნე რეგიონის შემთხვევაში აღსანიშნავია მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობა. ხშირად მოსახლეობამ არ იცის მათთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო პროგრამების, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო



[1] საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები.

ცვლილებების (მაგალითად, მოქალაქეების ჩართულობის თაობაზე თვითმმართველობის კოდექსში 2015 წლის ივლისში შესული ცვლილებები და მთის კანონი), მიმდინარე და დაგეგმილი სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების შესახებ. ასევე, ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების შესახებ, რის გამოც მოქალაქეებს ცენტრალური და ადგილობრივი დონის ხელისუფლებების კომპეტენციებში გარკვევა უჭირთ.

განსხვავებულია სამიზნე დასახლებებში ადგილობრივ თვითმმართველობასთან, არასამთავრობო/საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ხშირად მოსახლეობას არ აქვს საკუთარი დასახლების ინტერესების მუნიციპალურ ან ცენტრალურ დონეზე ერთობლივად ადვოკატირების გამოცდილება, მიუხედავათ იმისა, რომ შესაძლებელია ცალკეულ მოქალაქეს წარსულში კიდეც მიუმართავს პირადი საკითხის მოსაგვარებლად. პროექტის გუნდი სხვადასხვა ეტაპზე ახორციელებდა ამ საჭიროებებზე მორგებულ და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ აქტივობებს.

პროექტის მომდევნო ეტაპზე პროექტის გუნდი აქტიურად ეხმარებოდა სამიზნე საინიციატივო ჯგუფებს, რათა მათ პრიორიტეტული საკითხების მოგვარების და მათზე რეაგირების სტრატეგიები დაეგეგმათ. ამისთვის ერთობლივად ხდებოდა ხელმისაწვდომი რესურსების (მათ შორის, მატერიალური, ფინანსური, ფიზიკური) და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობის შესაძლებლობის შეფასება. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო მცირე ფინანსური რესურსი სათემო ინიციატივების თანადაფინანსებისთვის. იმ შემთხვევებში, როცა პრობლემაზე ვერ მოხდა რეაგირება მისი მასშტაბის და თემატიკის გამო, მოხდა საკითხის აქტუალიზაცია და პასუხისმგებელი პირების ან/და შესაბამისი კომპეტენციის მქონდე ორგანიზაციების ინფორმირება.

პროექტის გუნდის მიზანს წარმოადგენდა:

- სათემო შეხვედრებზე გამოვლენილი პრობლემების მოგვარების შესაძლებლობების და რესურსების განსაზღვრა
- ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა და სათემო მობილიზაციის წარმატებული მაგალითის შექმნა
- წარმატებული მაგალითების და გამოცდილების გაზიარება პროექტის სამიზნე თემებს შორის

პროექტით გათვალისწინებული იყო თითოეულ რეგიონში ორი პრობლემის მოგვარება. პროექტის გუნდი შეეცადა რეაგირება ან საკითხის აქტუალიზაცია მოეხდინა თითოეულ სამიზნე დასახლებაში გამოვლენილ ერთ პრობლემაზე მაინც. პრობლემებზე მუშაობა და მათი მოგვარება პროექტის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა იქ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ჩართული იყო პრობლემის მოგვარებაში. პროექტის ფარგლებში ასეთი შემთხვევა ოცდაშვიდი იყო. მომდევნო თავებში რეგიონების მიხედვით არის აღწერილი კავკასიური ინსტიტუტის პროექტში განხორციელებული საქმიანობა.

პროექტის შემაჯამებელ ეტაპზე წარმატებული ინიციატივების და მიღებული გამოცდილების ურთიერთგაცვლის მიზნით მოეწყო შეხვედრები პროექტში მონაწილე საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის და დაიგეგმა ვიზიტები სამიზნე დასახლებებში პრობლემის გადაწყვეტის პროცესში გამოყენებული მიდგომების ადგილზე გასაცნობად.

აჭარა

აჭარაში პროექტი განხორციელდა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტებში და ქალაქ ბათუმში. მუშაობა მიმდინარეობდა აჭარის 18 თემთან. პრობლემების გამოვლენისა და ანალიზის მიზნით ჩატარებულ სათემო შეხვედრებს დაეწრო 451 მოქალაქე (259 მამაკაცი, 192 ქალი). მომდევნო ეტაპზე პრობლემებზე რეაგირების პროცესში ჩართული იყვნენ სამიზნე დასახლებების საინიციატივო ჯგუფები. წინამდებარე თავში აღწერილია აჭარის სამიზნე დასახლებებში ჩატარებული სამუშაო და განხორციელებული ინიციატივები.

სამიზნე დასახლებებში გამოვლენილი პრობლემების მიმოხილვა

პროექტის ფარგლებში სათემო ჯგუფების მიერ დასახელებული პრობლემები სოფლის ტიპის დასახლებებისთვის, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ერთმანეთის მსგავსია. მიუხედავად ამისა, ყოველ დასახლებაში ნებისმიერი პრობლემა თავის სპეციფიკურობას ამჟღავნებს. მაგალითად, თემის მიერ წამოჭრილი საკითხი მთიან აჭარაში სოციალ-ეკონომიკური, გეოგრაფიული პირობების გამო ბევრად უფრო მწვავეა, ვიდრე ბათუმსა და მუნიციპალურ ცენტრებთან ახლოს მდებარე ადგილებში. თუ ქალაქური ტიპის დასახლებებში საუბარია სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების თაობაზე, მთიან სოფლებში, ძირითადად, ამ სერვისების შექმნის შესახებ საუბრობენ.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ხულოს, შუახევის და ქედის სოფლებში დასაქმების პრობლემა დგას, განსხვავებით, ქალაქ ბათუმთან და ქობულეთთან მდებარე სოფლებისა, რომელთა მცხოვრებნიც მეტ-ნაკლებად ქალაქებში დასაქმებას ახერხებენ.

მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს სასოფლო პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი და სეზონური დასაქმება წარმოადგენს.

მთიანი აჭარის მცირე დასახლებების დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს საერთო ხედვის და მოსახლეობის თვითმობილიზების უნარი, რაც სწორი მიდგომის შემთხვევაში პრობლემის მოგვარების პერსპექტივისთვის მნიშვნელოვანია.

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოვლენილი პრობლემები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგ კატეგორიებად:

ინფრასტრუქტურული პრობლემები

წყალი ♦ შიდა გზები ♦ წყალარინება ♦ გაზიფიკაცია

წყლის რესურსების არსებობის მიუხედავად ხშირად სახელდება მოსახლეობისათვის სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების საკითხი. ხშირად წყლის მიწოდების სისტემა ამორტიზირებულია, ან თავიდანვე არასწორად არის გაკეთებული. ამ პრობლემის მოგვარებას მოსახლეობა საკუთარი ძალებით ცდილობს.

სოფლის შიდა გზებისა და სავარგულამდე მისასვლელი გზების პრობლემა, ძირითადად, ყველა თემში გვხვდება. სოფლამდე მისასვლელი გზის გაუმართაობის პრობლემა, უმეტესად, ცენტრალური გზიდან მოშორებულ დასახლებებში დგას. გზის გაუმართაობის პრობლემას მეწყერული ზონები და უამინდობა ემატება. მთიან აჭარაში ნალექის მოსვლისას ბევრგან სოფლის გზები ტრანსპორტისათვის თითქმის გაუვალი ხდება და მოსახლეობას ყოველჯერზე შეძლებისდაგვარად საკუთარი ძალებით უწევს დაზიანებული უბნების აღდგენა. გაუმართავი გზები ართულებს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, განათლებაზე, პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას.

სოფლის ტიპის დასახლებებისგან განსხვავებით, წყალარინების პრობლემა მწვავე დგას მოსახლების წინაშე ქალაქ ბათუმის გარეუბნებში და შემოერთებულ ტერიტორიებზე[1]. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებები, ექვს წელზე მეტია, ქალაქის შემადგენლობაში შედის, და მათ სიახლოვეს გადის ქალაქის მიწისქვეშა კომუნიკაციები, დღემდე ეს პრობლემა არ მოგვარებულა.

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების დაბები და სოფლები მათი რელიეფის და მცირერიცხოვანი დასახლებების გამო საკმაოდ დიდ თანხებს საჭიროებს ბუნებრივი აირის სისტემის მოსაწყობად; ამ მიზეზით დღემდე არ მომხდარა მათი გაზიფიცირება. შესაბამისად, მოსახლეობა დამატებით თანხებს ხარჯავს საშეშე მასალის დასამზადებლად.

ქალაქ ბათუმის სამიზნე უბნებში, ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლებში გაზიფიცირების პრობლემა პროექტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების დროს აქტუალური იყო, რადგან ამ დასახლებათა სიახლოვეს (500-2500 მეტრი) გადის გაზის ცენტრალური მილები. შესაბამისად, მოსახლეობა თვლიდა, რომ მათი დასახლებების გაზიფიცირება უნდა ყოფილიყო პრიორიტეტი და სახელმწიფოს პრობლემის მოსაგვარებლად არ მოუწევდა დიდი ხარჯების გაღება. მათი განცხადებით, ზამთრის პერიოდში შეშის შეძენა 600-800 ლარამდე უჯდებათ, ამასთან, იძულებული არიან შეიძინონ თხევადი აირი და დამატებით ელექტროენერგიის თანხები იხადონ. ყოველივე ეს ამძიმებს მათ ისედაც მძიმე ეკონომიკურ/სოციალურ მდგომარეობას.

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა

პირველადი ჯანდაცვა ♦ სასკოლო განათლება ♦ საბავშვო ბაღები

სათემო შეხვედრებზე მონაწილე ქალები ყოველთვის ასახელებდნენ პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას. სოფლის ექიმის, ექიმის კაბინეტის ან ამბულატორიის არარსებობის ან შეზღუდული სამუშაო გრაფიკის და პირობების გამო რთულდება თუნდაც ბავშვებისათვის გეგმური აცრების ჩატარება. მთიან აჭარაში კი ზამთრობით ბევრგან შეუძლებელი ხდება ნებისმიერი სახის პროფესიული სამედიცინო მომსახურების მიღება.

[1] ქალაქ ბათუმს მიერთებული ხელვაჩაურის მუნიციაპლიტეტის ტერიტორიები 2010.

მრავალ სოფელში მხოლოდ დაწყებითი განათლების სკოლებია და საშუალო სკოლის ასაკის ბავშვებს ხშირად რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უწევთ სკოლამდე, რადგან მრავალ სოფელში უამინდობისას ტრანსპორტი ვერ დადის.

ბოლო სამი წელია, სოფლებში მუნიციპალური ბიუჯეტების დაფინანსებით საბავშვო ბაღების მშენებლობა დაიწყო. საბავშვო ბაღები, უმეტესად, დიდ სოფლებში იხსნება, შესაბამისად, მცირე დასახლებათა მცხოვრებნი ვერ ახერხებენ სრულყოფილად ამ სერვისით სარგებლობას. სოფლებს შორის სამარშრუტო მიმოსვლა არ ხდება; ამის გამოც უამინდობისას და ზამთრის თვეებში რთულდება საბავშვო ბაღებში ბავშვების მიყვანა. მცირე დასახლებათა მოსახლეობა იძულებული ხდება, დამატებითი ხარჯი გაწიოს სატრანსპორტო საშუალების უზრუნველსაყოფად.

პროექტის ფარგლებში ჩართული ყველა სოფლის თემი ცდილობს შეიქმნას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი. საამისოდ ძირითადი თანხების მობილიზება სოფლის დახმარების პროგრამიდან ხდება, მაგრამ ზოგჯერ სოფელიც თანამონაწილეობს თანხით, საჭირო მასალით, შრომით. მიუხედავად ამისა, რესურსების სიმწირის გამო თემი ან ვერ ახერხებს თავშეყრის ადგილისათვის შენობის აშენებას, ან მის კეთილმოწყობას.

ახალგაზრდობის საკითხები

სოფლებში მწვავედ დგას ახალგაზრდობის არაფორმალური განათლების და თვითრეალიზაციის საკითხი. სამიზნე სოფლებში არ არსებობს ახალგაზდული კულტურული, სპორტული თავშეყრის ადგილები, კლუბები. გაძნელებულია ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა. ახალგაზრდები მოკლებული არიან არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს.

პრობლემები დასახლების ტიპის მიხედვით

ქალაქ ბათუმში და მუნიციპალურ ცენტრებში აქტუალურია ურბანული პრობლემები – არსებული ინფრასტრუქტურის (წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობა, გაზიფიკაცია) სრულყოფა და ექსპლუატაცია. აქ მოსახლეობა წუხილს გამოთქვამდა იმ საფრთხის თაობაზეც, რასაც ქმნის საგზაო მოძრაობის მოუწესრიგებლობა. ამ ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანები პრობლემად მიიჩნევენ სპორტული და საბავშვო გასართობი ინფრატრუქტურის სიმწირესაც.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემები ერთგვაროვანია და ინფრასტრუქტურას და სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის სირთულეებს უკავშირდება.

პრობლემებზე რეაგირება
ცალკეული შემთხვევების აღწერა

ანგისას დასახლება, ქალაქი ბათუმი

ანგისას დასახლებაში მცხოვრებთათვის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა მოუწესრიგებელი მოძრაობა ბათუმი-ახალციხის, ბათუმი-სარფის მაგისტრალის ნაწილზე, რომლის გასწვრივაც განლაგებულია დასახლება. გზის ამ მონაკვეთზე არ იყო დამონტაჟებული შუქნიშანი, ვიდეოთვალი, სიჩქარის შემზღუდავი დაბრკოლებები, რაც ვერ ზღუდავდა გადაჭარბებული სიჩქარით მანქანების მოძრაობას და საფრთხეს უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი ავტობუსის გაჩერებიდან მოშორებით მდებარეობდა.

მოსახლეობას არასდროს ჰქონია სათემო მობილიზაციის მცდელობა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გამოცდილება.

ანგისას დასახლებაში ჩატარებული სათემო შეხვედრისას პრიორიტეტულ პრობლემად სწორედ აღნიშნული გზაჯვარედინის მოუწესრიგებლობით გამოწვეული საფრთხეები დასახელდა და გადაწყდა მუშაობა ამ მიმართულებით წარმართულიყო. მოსახლეობამ შექმნა ხუთკაციანი საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც ჩამოაყალიბა არსებული პრობლემის მოგვარების ხედვები.

პროექტის გუნდის დახმარებით თემის საინიციატივო ჯგუფმა დაგეგმა და გამართა შეხვედრები ქალაქ ბათუმის მერთან. ამ შეხვედრებზე ერთობლივად იქნა განხილული არსებული პრობლემები და მათი მოგვარების სავარაუდო გზები.

მოსახლეობის აქტიურობის და თვითმმართველობასთან თანამშრომლობის შედეგად გზის აღნიშნულ მონაკვეთზე დამონტაჟდა ვიდეო-კამერები, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი გადატანილ იქნა ავტობუსის გაჩერების სიახლოვეს. ასევე, მოქალაქეებმა მიიღეს დაპირება, რომ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე გაკეთდება ფეხით მოსიარულეთათვის კუნძული და დამონტაჟდება ავტობუსების დახურული მოსაცდელი.

სოფელი ჯვარიქეთი, ხულოს მუნიციპალიტეტი

სათემო შეხვედრაზე პრიორიტეტულ პრობლემებად დასახელდა სასმელი წყლის დაბინძურება და სარწყავის წყლის ნაკლებობა. სასმელი წყალი სოფელს მიეწოდებოდა ღია არხით. ამასთან, წყაროებიდან წყლის შემკრები კოლექტორი იყო ამორტიზებული და დაუხურავი, დაუმონტაჟებელი იყო წყლის გამწმენდი ფილტრები. ამის გამო წყალი სასმელად არ ვარგოდა. დაბინძურების მიზეზით ვერ მუშაობდა ან ფუჭდებოდა წყალზე მომუშავე საყოფაცხოვრებო ტექნიკა. სარწყავი არხის დაზიანების გამო მოსახლეობა ვერ ახერხებდა მოსავლის მორწყვას. ამორტიზებული სარწყავი არხიდან გადმოღვრილი წყალი პრობლემებს უქმნიდა მეზობელ სოფელს (მეწყრული მოვლენები, რამდენიმე სახლის საძირკველის დაზიანება).

სოფლის მოსახლეობას ჰქონდა თემის მობილიზაციის გამოცდილება, რომელსაც, უპირატესად, შიდა სასოფლო გზის შეკეთებისას იყენებდნენ, მაგრამ მათ არ გააჩნდათ მუნიციპალურ ხელისუფლებასთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება.

თემის მიერ დასახელებულმა ხუთკაციანმა საინიციატივო ჯგუფმა მოამზადა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი, ასევე განსაზღვრა საჭირო სამშენებლო და წყლის გამწმენდი მასალები, რომელთა შესყიდვა მოხდა ბათუმში კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში. ყველა საჭირო მასალის თავმოყრის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით სოფელში აღდგა სასმელი წყლის სისტემა.

ასევე, მოსახლეობამ საკუთარი ძალებით მოიპოვა წყლის კოლექტორი, რომელიც დამონტაჟდა წყლის მომწოდებელ სისტემაში და ასრულებს წყლის შემკრების ფუნქციას. გაწეული სამუშაობების შედეგად სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემები სრულად მოგვარდა.

სარწყავი წყლის პრობლემების მოსაგვარებლად პროექტში ჩართულმა ხულოს კოორდინატორმა და საინიციატივო ჯგუფმა მოახდინა საკითხის ადვოკატირება მუნიციპალიტეტის ხელისუფლებასთან. შედეგად, 2015 – 16 წლებში მუნიციპალტეტის დაფინანსებით აღადგინეს სარწყავი სისტემაც.

სოფელი ცივაძეები, შუახევის მუნიციპალიტეტი

სოფლის შიდა გზების დაზიანების გამო (დაახლოებით 1,5-კილომეტრიანი მონაკვეთი), ტრანსპორტის მოძრაობა გართულებულია. წვიმისას ტრანსპორტის სამოძრაოდ გზა საშიში ხდება.

სოფელს ჰქონდა სათემო მობილიზაციის დიდი გამოცდილება, მაგრამ არ ჰქონდა მუნიციპალურ ხელისუფლებასთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება. სათემო შეხვედრებზე პრიორიტეტულ პრობლემად გაუმართავი გზა გამოიკვეთა და გამოიყო ის მონაკვეთი, რომელიც ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნიდა გადაადგილებას.

თემმა დაასახელა სამუშაო ჯგუფი. კავკასიური ინსტიტუტის პროექტის გუნდმა და სოფელ ცივაძეების სამუშაო ჯგუფის წევრებმა ერთად შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომელიც გულისხმობდა ყველა დაინტერესებული მხარის პროცესებში ჩართვას. ამის საფუძველზე ხელი მოეწერა სამმხრივ მემორანდუმს მოსახლეობას, გამგეობას და კავკასიურ ინსტიტუტს შორის.

პროექტის ფარგლებში შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა მოამზადა მიმართვა შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე ინერტული მასალის გამოყოფის თხოვნით. მიმართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ძალისხმევით შუახევში მოქმედმა კომპანიამ „აგე“ სოფელს უსასყიდლოდ გადასცა 32 კუბი ინერტული მასალა. კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა და სოფელს გადაეცა 10 ტონა ცემენტი. ცივაძეების მოსახლეობამ, თავის მხრივ, შეაგროვა 200 ლარი და დაქირავებული ტექნიკის მეშვეობით მასალა სოფელში აიტანა. სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით დაისხა 105 მეტრი სიგრძის, 18 სანტიმეტრი სიმაღლის ბეტონის გზა.

გზის 105–მეტრიანი მონაკვეთის მოწესრიგების შემდეგ სოფლის მოსახლეობამ ხელმეორედ მიმართა შუახევის მუნიციპალიტეტს თხოვნით, რომ გამგეობას ეშუამდგომლა აჭარის საგზაო დეპარტამენტთან, რათა დეპარტამენტს უზრუნველეყო სოფლის გზაზე არსებულ ერთ-ერთ საშიშ მონაკვეთზე კლდის ჩამონგრევა. მოსახლეობის თხოვნა დაკმაყოფილდა. საგზაო დეპარტმენტის დაკვეთით ერთ-ერთმა კომპანიამ აღნიშნული სამუშაო შეასრულა. გაწეული სამუშაოთი მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა და მოითხოვა, გაწეული სამუშაოს ხარისხი შეესწავლათ. შესწავლამ ხარვეზები გამოავლინაა. კომპანიას დაევალა, ხარვეზები გამოესწორებინა.

რადგან პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა მთლიანად ვერ უზრუნველყოფდა პრობლემის მოგვარებას, პროექტის ჯგუფმა მოსახლეობა დააკავშირა არასამთავრობო ორგანიზაცია „ადგილობრივი დემოკრატიული ქსელის ცენტრთან“, რომელიც ადგილობრივი განვითარების საკითხებზე მუშაობს.

სოფელი ჭინკაძეები, ქედის მუნიციპალიტეტი

სოფლის მოსახლეობის ნაწილი ვერ ღებულობდა სასმელ წყალს, ხოლო მეორე ნაწილთან წყალი დაბინძურებული მოდიოდა.

სოფელს ჰქონდა სათემო მობილიზაციის გამოცდილება, მაგრამ არ გააჩნდა მუნიციპალურ ხელისუფლებასთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება.

პირველ ეტაპზე პროექტში ჩართული ხულოს მუნიციპალიტეტის კოორდინატორის დახმარებით დაპროექტდა წყლის ავზი და საჭირო მასალების ჩამონათვალი.

კავკასიური ინსტიტუტის მიერ პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხით საინიციატივო ჯგუფის წევრებმა

შეიძინეს საჭირო მასალები და მოახდინეს ტრანსპორტირება. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, რაც გულისხმობდა სამშენებლო სამუშაობის ჩატარებას და მასალების ადგილზე მიტანას, აშენდა ახალი ავზი, ხოლო არსებული ავზისათვის დამზადდა და დამონტაჟდა ჰერმეტული სახურავი. პრობლემის მოწესრიგების პროცესში სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა სოფლისთვის გამოყო 500 ლარის ღირებულების არამატურა, რომელიც გამოყენებული იქნა ავზის გაკეთებისას.

სოფლის აქტიური მუშაობის და კავკასიური ინსტიტუტის მონაწილეობით სოფელში მოგვარდა სასმელი წყლის ოჯახებამდე მიწოდების პრობლემა.

პირველი მაისი, ქედის მუნიციპალიტეტი

სოფლის მოსახლეობამ შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ხელისუფლებისგან მიღებული ჰქონდა სეტყვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების დაპირება, მაგრამ კომპენსაციები ექვსი თვის მანძილზე არ აეღოთ.

პროექტის განხორციელებაში ჩართულმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა და გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტმა ამის შესახებ კითხვა დაუსვა ქედაში მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს. სოფელი პირველი მაისის მცხოვრებთა თქმით, მეორე დღესვე დაიწყო კომპენსაციების გაცემა.

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთში პროექტი ხორციელდებოდა ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ნინოწმინდის 12 სოფელში, მუნიციპალურ ცენტრებსა და თვითმმართველ ქალაქ ახალციხეში (დანართი). დასახლებაში არსებული მდგომარეობის და მოსახლეობის თვალით დანახული პრობლემების გამოსავლენად ჩატარებულ სათემო შეხვედრებში მონაწილეობა 379-მა მოქალაქემ მიიღო, მათგან 83 ქალია, 296 – მამაკაცი.

სამიზნე დასახლებებში გამოვლენილი პრობლემების მიმოხილვა

პროექტის ფარგლებში შერჩეულ სოფლებში პრობლემების უმეტესობა იდენტურია, ასევე მსგავსია მუნიციპალურ ცენტრებში გამოვლენილი პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ სამცხე-ჯავახეთის თითოეული მუნიციპალიტეტი საკუთარი სპეციფიკით გამოირჩევა. პრობლემები პირობითად შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაიყოს:

ინფრასტრუქტურული პრობლემები

სასმელი და სარწყავი წყალი ♦ გაზიფიკაცია ♦ ინტერნეტი ♦ გზები

სოფლების უმეტესობაში მწვავედ დგას სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების პრობლემა. სოფლებში 40-50 წლის ამორტიზირებული სისტემაა, რომლის დიდი ნაწილი რეაბილიტაციას არ ექვემდებარება.

შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების არსებობის მიუხედავად, ბევრ სოფელში ბუნებრივი აირის მიმწოდებელი ინფრასტუქტურა არ არსებობს.

სოფლებთან მისასვლელი გზები მეტ-ნაკლებად მოწერიგებულია ბორჯომის, ახალციხის ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული მუნიციპალიტეტების სოფლებში, უპირატესად, შიდა სასოფლო სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზების პრობლემა დგას. სოფლებში მისასვლელი გზის პრობლემა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში გამოვლინდა.

სოციალურ/სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ♦ საბავშო ბაღები ♦ სკოლები

გარკვეული პრობლემები არსებობს პირველადი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე. ბევრ სოფელში არის სამედიცინო პუნქტები, თუმცა სამედიცინო პერსონალი (სოფლის ექიმი, ექთანი) კვირაში მხოლოდ ერთი დღით გარკვეული საათების განმავლობაში მუშაობს, რაც რეალურად ართულებს პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით – ჯავახეთში, სადაც მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებით მდებარე სოფლებს მისასვლელი გზის პრობლემაც აქვთ.

ბევრ სოფელს არ აქვს საბავშო ბაღი. შესაკეთებელია სკოლის შენობები.

ახალგაზრდული საკითხები

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდებისთვის თვითგანათლების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, არაფორმალური განათლების მიღების პრობლემები. სოფლების უმეტესობაში არ არსებობს ახალგაზრდებისათვის კულტურული და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები – კლუბები, ბიბლეოთეკები, სპორტული დარბაზები. ეს არამარტო ხელს უშლის ახალგაზრდების განვითარებას, არამედ რეგიონიდან მიგრაციის ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორიც არის.

გამოვლენილი პრობლემების ანალიზი მუნიციპალიტეტების მიხედვით

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში ძირითად პრობლემად დასაქმება იკვეთება. აღნიშნული მუნიციპალიტეტი მცირემიწიანია, სხვა მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით, ნაკლებად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე. სოფლის მოსახლეობის ძირითადი შემოსავალი საშეშე და სამასალე მერქნის წარმოებაა, რაც ხშირად უკანონოდ ხორციელდება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის აუცილებელია ალტერნატიული შემოსავლის წყაროს გამონახვა: ტურიზმი, ხილის მცირე გადამამუშავებელი საწარმოები და ა.შ.

ახალციხის მუნიციპალიტეტი შედარებით უკეთ არის განვითარებული ინფრასტრუქტურის მხრივ. მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობაც; ამიტომ აქცენტი უმეტესად სარწყავი წყლის სისტემის გაუმართაობასა და საბავშო ბაღის თუ ადგილობრივი კლუბის არქონაზე კეთდებოდა. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ინტენსიური მუშაობა ტარდებოდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან. პროექტის ფარგლებში სათემო შეხვედრებზე დასმული პრობლემების უმეტესობა მოგვარებულია.

ადიგენის მუნიციპალიტეტში საკმაოდ ცუდად არის განვითარებული როგორც ინფრასტრუქტურა და ინტერნეტის ქსელი, ისე საზოგადოებრივი დაწესებულებები – საბავშო ბაღები, ამბულატორიები, კლუბები.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებია; ამიტომ ადიგენის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია სასოფლო-სამეურნეო ინფრასტუქტურის გაუმჯობესება (სარწყავი სისტემები, ვეტერინარული პუნქტები). მუნიციპალიტეტში პრობლემად რჩება სასმელი წყლის ამორტიზირებული სისტემები და გაზმომარაგების ინფრასტუქტურის უქონლობაც.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მთავარი შემოსავლის წყარო სოფლის მეუნეობა-მეცხოველეობაა.

მოსახლეობა ძირითად აქცენტს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ პრობლემებზე აკეთებს. სარწყავი წყლის გარდა ვეტერინარიასთან დაკავშირებული პრობლემებიც ვლინდება (მაღალია საქონლის დაავადების მაჩვენებელი).

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსით. მიუხედავად ამისა, რთული გეოგრაფიული განლაგების გამო ნომერ პირველ პრობლემად სარწყავი და სასმელი წყლით მომარაგება რჩება. ასევე პრობლემურია სოფლებთან მისასვლელი გზებიც. მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა – მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა. ამ კუთხით მუნიციპალიტეტის სოფლებში გამოვლენილი მთავარი პრობლემა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზებაა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ინფრასტუქტურული პრობლემებიდან, უმეტესად, გზის გაუმართაობა და სახელმწიფო სერვისებზე ხელმიუწვდომლობა სახელდება. გზის გაუმართაობის და მკაცრი ზამთრის გამო მოსახლეობას უჭირს მუნიციპალურ ცენტრთან კავშირი, შესაბამისად, რთულდება ავადმყოფის გადმოყვანაც მუნიციპალურ ცენტრში. მოსაგვარებელია სოფლის ამბულატორიების საკითხი, პრობლემურად ისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების ამორტიზების საკითხიც.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. მისი პრობლემები ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პრობლემების იდენტურია – ჭირს პროდუქციის რეალიზაცია.

პრობლემები დასახლების ტიპის მიხედვით

სამცხე-ჯავახეთის დასახლების ტიპის მიხედვით პრობლემები თითქმის იდენტურია სოფლებსა და ქალაქებში, თუმცა მოსახლეობის მიერ მათი პრიორიტეტიზაცია განსხვავდება. ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებში ინფრასტუქტურა შედარებით განვითარებულია. პრობლემად რჩება ცალკეული უბნების კონკრეტული ინფრასტუქტურული პრობლემები – წყლის სისტემის გაუმართაობა, ქუჩების მოასფალტება-განათება, კორპუსების გამრიცხველიანება.

სოფლის ტიპის დასახლებებში საგზაო ინფრასტუქტურის პრობლემები უფრო ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში დგას. ხოლო ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში მწვავედ დგას სარწყავი სისტემების და გაზმომარაგების ინფრასტუქტურის არარსებობის საკითხი.

პრობლემებზე რეაგირება
ცალკეული შემთხვევების აღწერა

ბორჯომში „ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში“ ელექტრო გამრიცხველიანების სათემო ინიციატივა

ქალაქ ბორჯომის ცენტრალურ, მუნიციპალიტეტის შენობის მიმდებარე უბანში, ეგრეთ წოდებულ, „ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში“, სადაც 60-ზე მეტი ოჯახი ცხოვრობს, აქტუალური იყო ინდივიდუალური ელექტრო-გამრიცხველიანების პრობლემა.

მოსახლეობასთან შეხვედრისა და პრობლემის იდენტიფიცირების შედეგად გაირკვა, რომ კორპუსის მოსახლეობას წლების წინ მიტაცებული ჰქონდა ფართები აღნიშნულ შენობაში, რომელიც ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა. ოც წელზე მეტი ხნის ცხოვრების მიუხედავად, კორპუსში მცხოვრებთა უმეტესობას ფართი დაკანონებული არ ჰქონდა. მათ არ

მოეძევებოდათ ამ ფართში ცხოვრების დამადასტურებელი კანონიერი დოკუმენტი. ამის გამო ენერგოკომპანია ვერ ახდენდა კორპუსის გამრიცხველიანებას. საერთო მრიცხველის შემდეგ გამანაწილებელი ფარის გარეშე მოსახლეობას თვითნებურად, უსაფრთხოების წესების გვერდის ავლით გაყვანილი ჰქონდა ელექტროსადენები, რაც ზრდიდა ავარიების რისკს და საფრთხეს უქმნიდა კორპუსის ბინადართა სიცოცხლეს. გაუმართავი ელექტროგაყვანილობის გამო ყოფილა ხანძრის შემთხვევაც: კორპუსში მომხდარ მოკლე ჩართვას ორჯერ გაუთიშავს ელექტროქსელიდან მთელი უბანი. კორპუსის მოსახლეობა წლების განმავლობაში ითხოვდა ადგილობრივი ხელისუფლებისგან გამრიცხველიანების პრობლემის მოგვარებას – მოუწყვიათ აქციებიც და ქუჩაც გადაუკეტავთ.

არსებული პრობლემის იდენტიფიცირების შემდგომ შემუშავდა პრობლემის მოგვარების ერთიანი სტრატეგია. პროექტის გუნდმა თემის აქტიური ჩართულობით არსებული სიტუაცია აღწერა, ფოტოზე აღბეჭდა და აღნიშნული მასალა ენერგოკომპანიის სათავო ოფისში და ენერგეტიკის სამინისტროში გადაგზავნა (2014 წლის 29 სექტემბრის №08/3509 წერილი).

ენერგოკომპანიიდან გამოითქვა მზაობა, მოეგვარებინათ პრობლემა, თუ კორპუსის მოსახლეობა საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტაციას წარუდგენდა კომპანიას.

კორპუსში მცხოვრებთა საინიციატივო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა კორპუსის ბინადრებთან მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაგროვებლად. პარალელურად პრობლემა განიხილებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან. მათთან ადვოკატირების შემდგომ მუნიციპალიტეტი დათანხმდა გაეცა კორპუსის ბინადართა ნაწილისათვის, რომელსაც არ ჰქონდა ფართი პრივატიზირებული, ცხოვრების ნებართვა, ამავდროულად, მუნიციპალიტეტმა წერილობითი თხოვნით მიმართა ენერგოკომპანიას, რათა გაემრიცხველიანებინათ კორპუსი. აღნიშნული დოკუმენტაცია წარდგენილ იქნა ენერგოკომპანიის ოფისში.

კავკასიური ინსტიტუტის პროექტის წარმომადგენლების, თემის და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით თითქმის ერთწლიანი მუშაობის შედეგად კომპანიამ საკუთარი ხარჯებით კორპუსში ინდივიდუალური გამრიცხველიანება მოახდინა ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლავერდის სათემო ინიციატივა – სასმელი წყლის სისტემის აღდგენა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით

ახალქალაქის სოფელი ოლავერდი განლაგებულია ზღვის დონიდან 2000 მეტრზე, აბულის მთის ძირას. სოფელში 165 ოჯახი ცხოვრობს (400-ამდე მოსახლე).

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი, განსაკუთრებით, სოფელი ოლავერდი და მისი მიმდებარე ტერიტორია მდიდარია მტკნარი წყლის რესურსით, სოფლის მოსახლეობის ნაწილს (დაახლოებით 85 ოჯახს) არ მიეწოდებოდა წყალი. წყლის მოტანა მათ 500-800 მეტრით დაშორებული წყაროდან უწევდათ. სხვა პრობლემებთა შორის (მუნიციპალურ ცენტრთან დამაკავშირებელი ცუდი გზა, ამბულატორიის არქონა), პრიორიტეტულად სასმელი წყლის ოჯახებში მიწოდების პრობლემა დასახელდა.

პრობლემის შესწავლამ აჩვენა, რომ სოფლის ბოლოს არის მტკნარი წყლის წყარო (დიდი დებეტის), საიდანაც მიმდებარე სოფლები მარაგდება. წლების წინ სოფელში გაკეთდა წყალმომარაგების სისტემა (ელექტროტუმბო,

მაგისტრალი, წყალშემკრები ავზი, წყლის გამანაწილებელი ქსელი). სისტემამ ვერ იმუშავა ელექტროტუმბოს დიდი საექსპლუატაციო ხარჯის გამო (ყოველთვიური ელექტროენერგიის გადასახადი თითოეულ ოჯახს 20-30 ლარის ფარგლებში უწევდა). ამავდროულად, ელექტროძრავა ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და მისი აღდგენაც დიდ ხარჯებს მოითხოვდა. ამის გამო სოფელმა არსებული წყალსაქაჩი სისტემის ექსპლუატაცია შეაჩერა.

პრობლემის მოსაგვარებლად გადაწყდა სოფლის თემისათვის გაგვეცნო ინოვაციური ტექნოლოგია – წყლის ტუმბო „ირეკსონი“, რომელიც წყლის დაწნევით მუშაობს და არ საჭიროებს ელექტროენერგიას და საწვავს. ტუმბო არც მონტაჟის შემდგომ მოითხოვს დიდ საექსპლუატაციო ხარჯებს. მარტივი კონსტრუქციის გამო მის შესაკეთებლად რაიმე სპეციფიკური ცოდნა არაა აუცილებელი, არც განსაკუთრებულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ტექნოლოგიის გასაცნობად და ადგილზე პირობების შესასწავლად კავკასიურმა ინსტიტუტმა მოაწყო ტუმბო „ირეკსონის“ გამომგონებლის, იოსებ ნარჩემაშვილის და სოფლის მოსახლეობის შეხვედრა. ამავდროულად გეოგრაფიული პარამეტრები აღინუსხა და განისაზღვრა წყლის დებეტი, რათა კონკრეტული სიმძლავრის, სოფელი ოლავერდის პირობებზე მორგებული ტუმბო დამზადებულიყო.

სოფლის თემმა თავის წილად ტუმბოს მკვებავი მილის, დაწნევის ავზის შეძენა და მონტაჟი შემოგვთავაზა, ამადროულად, შეიძინა 150 მეტრი 300-მილიმეტრიანი მკვებავი მილი და 140 მეტრი 110-მილიმეტრიანი ლითონის მილი, რომლის დაერთებაც მოხდა არსებულ მაგისტრალზე. კავკასიურმა ინსტიტუტმა შეიძინა და სოფელს გადასცა ტუმბო, ასევე უზრუნველყო აზომვითი და საპროექტი სამუშაოების ჩატარება.

ტუმბო მონტაჟის შემდგომ სატესტო რეჟიმში გაიშვა: მანძილი 450 მეტრი, ვერტიკალური სიმაღლე 40 მეტრი, წარმადობა 200-220 ტონა დღე-ღამეში.

სატესტო რეჟიმში მუშაობის დროს გამოვლინდა შემკრები ავზის მკვებავი ძველი მაგისტრალის ხარვეზები. არასწორად დამონტაჟებული მაგისტრალი (ტუმბო მიერთებულ იქნა უკვე არსებულ მაგისტრალზე) ზრდიდა წნევას, რაც იწვევდა ტუმბოს დაზიანებას. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კავკასიურმა ინსტიტუტმა შეიძინა 175 მეტრი სიგრძის 110- მილიმეტრიანი მილი, რითიც სოფლის მოსახლეობამ ჩაანაცვლა მკვებავი მაგისტრალის პრობლემური მონაკვეთი.

შედეგად სოფელმა მიიღო წყალმომარაგების იაფი და ეფექტური სისტემა.

პრობლემას წარმოადგენდა მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა (სარწყავად გამოყენება) და გაუმართავი წყალგაყვანილობა სოფლის სახლებში (წყლის მოშლილი ონკანები). კავკასიურმა ინსტიტუტმა ამ საკითხზეც იმუშავა მოსახლეობასთან. ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივებთან, მათ გადაეცათ წყლის მოხმარების და ტუმბოს ექსპლუატაციის ინსტრუქციები მშობლიურ ენაზე.

წყლის მიწოდების ინოვაციურმა სისტემამ დიდი დაინტერესება გამოიწვია რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თხოვნით შესწავლილ იქნა, თუ როგორ შეიძლებოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლების ტაძრისის და ჭობისხევის, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის პოტენციალი აღნიშნული სისტემის საირიგაციო მიზნებით გამოეყენებინათ. შესწავლილი სოფლების უმეტესობაში ყველანაირი წინაპირობაა, რომ აღნიშნული სისტემა წარმატებით

დაინერგოს. წინასწარი გათვლით ეს რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწის გასარწყავიანების საშუალებას მისცემს მოსახლეობას.

სოფელი გომარო, ადიგენის მუნიციპალიტეტი

გომარო-ზანავის თემის ახალგაზრდებმა პრობლემად არაფორმალური განათლების, თვითგანვითარების და ფიზიკური განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის უქონლობა დაასახელა.

გომარო-ზანავის თემი აჭარიდან ემიგრირებული ეკომიგრანტებითაა დასახლებული. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად გომარო-ზანავის თემის ახალგაზრდების საინიციატოვო ჯგუფმა გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა თემის ახლგაზრდების განვითარებას. შეიქმნა არასამეწარმეო იურიდიული პირი „ახალგაზრდები მთის განვითარებისათვის“. აღნიშნული ორგანიზაციის წევრებმა კავკასიურ ინსტიტუტში გაიარეს ტრენინგების კურსი, რომელიც მათ სამომავლოდ ორგანიზაციის განვითარებაში და მუშაობის უკეთ დაგეგმაში დაეხმარება.

ამ ეტაპისათვის ორგანიზაციამ საერთაშორისო დონორების დახმარებით მიწის ნაკვეთი შეიძინა და სპორტულ-საგანმანათლებო ცენტრი ააშენა (მიმდინარეობს თანხების მოძიება შენობის კოსმეტიკური რემონტისათვის). ცენტრი მოემსახურება გომარო-ზანავის თემისა და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდებს, რათა მათ შეძლონ როგორც სპორტულ სახეობებში ვარჯიში, ისე დამატებითი განათლების (ინგლისური ენის, კომპიუტერის, სამოქალაქო განათლების) მიღება.

კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ჯგუფის დახმარებით დაიწერა რამდენიმე განაცხადი სხვადასხვა ფონდისთვის, მაგრამ ამ ეტაპისათვის აღნიშნული კურსებისათვის დაფინანსების მოპოვება ვერ მოხერხდა. დაფინანსების ძიება გრძელდება.

ქვემო ქართლი

პროექტის ფარგლებში საქმიანობა ქვემო ქართლის შვიდ მუნიციპალიტეტში წარიმართა: თვითმმართველ ქალაქ რუსთავში, წალკის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალურ ცენტრებსა და 14 სოფელში (სულ 21 ადგილას)[1].

პრობლემების გამოვლენისა და ანალიზის მიზნით ჩატარებულ სათემო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 624–მა მოქალაქემ, რომელთაგან 229 იყო ქალი და 395 მამაკაცი.

სამიზნე დასახლებებში გამოვლენილი პრობლემების მიმოხილვა

სამიზნე თემებში შეხვედრებისას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დასახელებული 71 პრობლემიდან 47 პრობლემა ინფრასტრუქტურული ხასიათის იყო. ასევე, პრიორიტეტული იყო ახალგაზრდული, სამოქალაქო ცნობიერების და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხები და სკოლების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული თემები.

ინფრასტრუქტურული პრობლემები

სასმელი და სარწყავი წყალი ♦ სოფლის შიდა გზები ♦ გაზიფიკაცია ♦ შენობა-ნაგებობები (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები) ♦ სკოლების ინფრასტრუქტურა

ბოლნისის, თეთრიწყაროს და დმანისის სამიზნე სოფლებისათვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის მიწოდება. მიზეზი დასახლებების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთ სოფელში წყლის რესურსი მწირია და მისი მოძიების ან სხვა ადგილიდან გადმოყვანის საკითხი დგას. რიგ ადგილებში კი წყალგაყვანილობის სისტემა არის მოძველებული და გაუმართავი.

სარწყავი წყლის უკმარისობა პრიორიტეტულ პრობლემად თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ორ სოფელში დასახელდა. სოფლების გეოგრაფიული მდებარეობის და სოფელსა და მდინარეს შორის დიდი მანძილის გამო გაძნელებულია სარწყავი წყლის სისტემის გამართვა.

შიდა გზების გაუმართაობა თითქმის ყველა სამიზნე სოფლის მოსახლეობას აწუხებს. სამიზნე სოფლებიდან მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ დასახლე-

[1] იხ. დანართი 1

ბაში დასახელდა ცენტრალურ მაგისტრალთან სოფლის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის საკითხი. თუმცა უკვე მეორე სათემო შეხვედრისას ეს პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნა იმის გამო, რომ მუნიციპალური ცენტრიდან სოფლის ბოლომდე დაიგო ასფალტის საფარი.

გაზიფიკაცია ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სამიზნე დასახლებების სამ შემთხვევაში დაფიქსირდა. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებთა თქმით, გაზის ცენტრალური მილები მათ სოფლამდე ერთი–ორი კილომეტრით არის დაშორებული და მათ არ იციან, როდის მოხდება მათი სოფლის გაზიფიკაცია.

ქალაქის ტიპის დასახლებებში ინფრასტრუქტურული საკითხები უკავშირდება საცხოვრებელი შენობების ავარიულ მდგომარეობას, სადარბაზოების მოწესრიგებას, სახურავების შეკეთებას, სადრენაჟე სისტემას და ძველი ისტორიული უბნის რეაბილიტაციას (ქ. ბოლნისი).

სათემო შეხვედრებზე პრიორიტეტულ პრობლემათა შორის სკოლის შენობების საკითხიც დასახელდა. მარნეულისა და წალკის რამდენიმე დასახლებაში სკოლები ძველ, ავარიულ შენობებში არის განთავსებული. სკოლებში მოსაწესრიგებელია არსებული ან გასაკეთებელია ახალი საპირფარეშოები. განსხვავებული პრობლემა აქვს დიდი მუღანლოს სკოლას, რომელიც ხევთან ახლოს დგას, მდინარიდან დაახლოებით ათი მეტრის სიმაღლეზე. ადგილობრივების თქმით, დროდადრო სკოლის ტერიტორიის მიწა ხევში იშლება, რის გამოც ხევი სახიფათოდ უახლოვდება სკოლის ეზოში მდგარ საპირფარეშოს.

ახალგაზრდების მიერ დასახელებული პრობლემები

სპორტულ-საგანმანათლებლო ცენტრები ♦ სამოქალაქო ცნობიერება და ჩართულობა

მუნიციპალურ ცენტრებში და სოფლებში ჩატარებულ სათემო შეხვედრებში, სადაც მონაწილეთა უმეტესობას ახალგაზრდები წარმოადგენდნენ, პრიორიტეტულ პრობლემებს შორის ახალგაზრდული საკითხები, კერძოდ, სპორტული მოედნებისა და დარბაზების, ახალგაზრდული ცენტრებისა და თავშეყრის ადგილების მოწყობა დასახელდა. ახალგაზრდები გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ მათ არ აქვთ სივრცე არც სპორტული აქტივობისთვის და არც არაფორმალური განათლების მისაღებად.

თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში პრობლემების მიზეზებზე საუბრისას სისტემურ და მმართველობასთან დაკავშირებულ ფაქტორებთან ერთად მიუთითებდნენ, რომ სამოქალაქო ცნობიერების და მოსახლეობის თვითმმართველობის პროცესებში ჩართულობის დონე საკმაოდ დაბალია.

პრობლემების ზოგადი მიმოხილვა მუნიციპალიტეტების მიხედვით

სამოქალაქო სექტორის განვითარების მიხედვით მუნიციპალიტეტები განსხვავდება ერთმანეთისგან. სამოქალაქო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო განვითარებულია რუსთავსა და მარნეულში. დანარჩენი მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის ნაკლებად არის ხელმისაწვდომი ის პროგრამები და სერვისები, რომელსაც სამოქალაქო სექტორი სთავაზობს ბენეფიციარებს.

ბოლნისსა და დმანისის მუნიციპალიტეტებში პრიორიტეტულ პრობლემად პროფესიული განათლების

ხელმისაწვდომობა დასახელდა. მოსახლეობის თქმით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ახალგაზრდებს სხვა ქალაქში სასწავლებლად წასვლის საშუალება არ აქვთ. იმის გამო, რომ ამჟამად ადგილზე არანაირი სასწავლებელი არ ფუნქციობს, ახალგაზრდებისთვის შეზღუდულია განათლების მიღების შესაძებლობები.

წალკის მუნიციპალიტეტში ყურადღებას იმსახურებს აჭარიდან სხვადასხვა დროს მიგრირებული მოსახლეობის პრობლემები. სამიზნე დასახლებებში ჩატარებულ სათემო შეხვედრებზე ამ ჯგუფმა შემდეგი საკითხები დაასახელა: საცხოვრებელი სახლების შესყიდვა და საკუთრებად დაკანონება, სახნავ-სათესი და სათიბი მიწების სიმცირე, დასაქმება.

პრობლემებზე რეაგირება

ცალკეული შემთხვევების აღწერა

თეთრიწყარო, დმანისი და სოფ. ნაგები (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) – ახალგაზრდული საკითხები

თეთრიწყაროს, დმანისის მუნიციპალურ ცენტრებსა და სოფელ ნაგებში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) სათემო შეხვედრებისას პრიორიტეტებს შორის დასახელდა ახალგაზრდული საკითხები.

თეთრიწყაროს მუნიციპალური ცენტრი

ქალაქში ფუნქციობს ბიბლიოთეკა, მუზეუმი, სახელოვნებო სკოლა, სამუსიკო სკოლა, სასპორტო სკოლა. მიუხედავად ამისა, სათემო შეხვედრებისას ძირითად პრობლემად დასახელდა ახალგაზრდული ცენტრის საკითხი, ცენტრის არსებობის შემთხვევაში ახალგაზრდებისთვის განხორციელდებოდა არაფორმალური განათლების პროგრამები; ახალგაზრდებს ექნებოდათ ერთობლივი სამოქალაქო ინიციატივების დაგეგმვა-განხორციელების საშუალება. შეხვედრების მონაწილეებმა ამ პრობლემის მიზეზად დაასახელეს ახალგაზრდულ თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის არარსებობა და ახალგაზრდების პასიურობა. მათი აზრით, ამგვარი ვითარება ხელს უწყობს ახალგაზრდების მიგრაციას და უმუშევრობას. პრობლემების იდენტიფიცირების და გაანალიზების შემდგომ ეტაპზე გამოიკვეთა ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც აღნიშნული პრობლემის გადაჭრაზე დაიწყო კონკრეტული იდეების განვითარება. თეთრიწყაროს საინიციატივო ჯგუფმა 2016 წლის აპრილსა და მაისში მონაწილეობა მიიღო კავკასიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ტრენინგებში, რომლებიც ეხებოდა არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირად რეგისტრაციას, მოქალაქეთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ორგანიზაციულ განვითარებას და პროექტების წერას.

შემდეგ ეტაპზე თეთრიწყაროს საინიციატივო ჯგუფმა ადგილობრივი სამოქალაქო ინიციატივების მხარდასაჭერად დაარეგისტრირა არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი“, რომელმაც კავკასიური ინსტიტუტიდან მიიღო დაფინანსება მუნიციაპლიტეტში ახალგაზრდული პრობლემებზე მომუშავე ქსელის შესაქმნელად.

დმანისის საინიციატივო ჯგუფი

ქ. დმანისში არსებობს კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, სპორტული დარბაზი ძიუდოისტებისთვის, თუმცა არ არსებობს სივრცე იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ძალოსნობით არიან დაკავებული. ისინი მხოლოდ დროებით ახერხებდნენ სავარჯიშო სივრცის უზრუნველყოფას, სადაც მსურველ ახალგაზრდებს უფასოდ ვარჯიშის საშუალებას და სპორტის ამ სახეობაში მომზადებას სთავაზობდნენ.

სპორტის ამ სახეობაში დმანისელმა ახალგაზრდებმა საკმაოდ დიდი წარმატება მოიპოვეს. ისინი არიან საქართველოს ჩემპიონები და რეკორდსმენები, ასევე, არაერთ საერთაშორისო შეჯიბრზე პირველი ადგილის მომპოვებელნი და სხვადასხვა პრიზის მფლობელები.

ამ ახალგაზრდებმა ჩამოაყალიბეს აქტიური სამოქალაქო, არაფორმალური ჯგუფი, რომელიც ადგილობრივ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების სტილის პოპულარიზაციას და საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა.

დმანისში ჩატარებულ სათემო შეხვედრებზე ახალგაზრდებმა ისაუბრეს იმაზე, რომ მათ სჭირდებათ მუდმივი სავარჯიშო სივრცე და პროფესიული სპორტული ინვენტარი. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდებს მუნიციპალური ცენტრიდან და სოფლებიდან ექნებოდათ სავარჯიშო პირობები და შესაძლებელი იქნებოდა მათი სამოქალაქო საქმიანობაში ჩართვა. მათ აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ, მეტი ცოდნა და გამოცდილება მიეღოთ, რათა მათი საქმიანობის ეფექტურობა გაზრდილიყო.

დმანისის ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფის პროექტი ორჯერ იყო წარდგენილი მცირე გრანტების კონკურსზე. თუმცა, სამწუხაროდ, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

კავკასიური ინსტიტუტის მიერ სათემო ჯგუფებისთვის ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობის შემდეგ დმანისის ჯგუფმა დაარეგისტრირა არასამთავრობო ორგანიზაცია „დმანისელები“. კავკასიური ინსტიტუტის დახმარებით დმანისელების მიერ წარდგენილმა პროექტმა გაიმარჯვა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ საგრანტო კონკურსში. ამ პროექტის ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტის თანადაფინანსებით შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის მიერ გადმოცემულ სივრცეში სავარჯიშო დარბაზის გარემონტება და ახალი სპორტული ინვენტარით აღჭურვა. დღეს ამ სივრცით უფასოდ სარგებლობენ დმანისისა და მუნიციაპლიტეტის სხვა სოფლების ახალგაზრდები, რომლებიც ასევე მონაწილეობენ დმანისლების მიერ დაგეგმილ საზოგადოებრივ ინიციატივებში.

ქ. მარნეული

ქალაქ მარნეულში სათემო შეხვედრისას ერთ-ერთ პრიორიტეტულ პრობლემად მოსახლეობის მიერ ქალაქის დანაგვიანების თემა დასახელდა. ადგილობრივების თქმით, მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ქალაქზე გამავალ არხში ყრის, რის გამოც მდინარე ალგეთი ბინძურდება. მათი აზრით, სწორედ არხის დანაგვიანებამ გამოიწვია უპატრონო ძაღლების რიცხვის ზრდა; ამან კი ლეიშმანიოზით დააავადების გახშირება, განსაკუთრებით, მცირეწლოვან ბავშვებში.

პრობლემის მოსაგვარებლად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს წელიწადში ერთხელ არხის გაწმენდას. თუმცა არხი მალევე ბინძურდება, რადგან მოსახლეობა აგრძელებს ნარჩენების ყრას.

2016 წლის ნოემბერში კავკასიური ინსტიტუტის მხარდაჭერით ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მტრედი“ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანია წამოიწყო. მარნეულში ჩატარდა აქცია ლოზუნგით „არ დაანაგვიანო!“. აქციის ფარგლებში ახალგაზრდებმა ნაგვისაგან დაასუფთავეს ცენტრალური სკვერი. ქუჩებში და სკვერში გააკრეს და მოსახლეობასაც დაურიგეს სტიკერები ლოზუნგით „არ დაანაგვიანო!“.

შიდა ქართლი

პროექტის ფარგლებში საქმიანობა შიდა ქართლის ოთხ მუნიციპალიტეტში წარიმართა. კერძოდ, თვითმმართველ ქალაქ გორში, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალურ ცენტრებსა და რვა სოფელში (დანართი). პრობლემების გამოვლენის და ანალიზის მიზნით ჩატარებულ სათემო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 322 ადგილობრივმა მკვიდრმა, რომელთაგან 206 ქალი იყო, ხოლო 116 – მამაკაცი. წინამდებარე თავში აღწერილია შიდა ქართლის სამიზნე დასახლებებში ჩატარებული სამუშაო და პრობლემებზე რეაგირების გამოცდილება.

სამიზნე დასახლებებში გამოვლენილი პრობლემების მიმოხილვა

სამიზნე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დასახელებული თითქმის ყველა პრობლემა ინფრასტრუქტურას ეხება, გარდა ქალაქ გორის ცენტრალურ უბანში წამოჭრილი ორი საკითხისა: ბიზნეს-სტარტაპებზე ხელმისაწვდომობა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქალაქ გორში შერჩეული იყო ახლად გარემონტებული უბანი, სადაც ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ახლახან დასრულდა.

გამოვლენილ პრობლემებს შორის წინა ადგილზეა პირველადი მოხმარების რესურსებზე ხელმისაწვდომობის საკითხები, როგორებიცაა სასმელი და სარწყავი წლის მიწოდება და გაზიფიკაცია.

ინფრასტრუქტურული პრობლემები

წყალი ♦ შიდა გზები ♦ გაზიფიკაცია

სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა, უმეტესად, ის კი არ არის, რომ წყლის რესურსი არ მოიპოვება, არამედ მასზე ძნელად ხელმისაწვდომობა, მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები, რენტაბელობა და რესურსების გონივრული და ეკონომიური გამოყენება. სამიზნე არეალის ქვეშ, მიწის სიღრმეში, ევროპაში ყველაზე დიდი მტკნარი წყლის აუზი[1] მდებარეობს, ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მაინც წყლის დეფიციტს განიცდის.

წყლის მიწოდების პრობლემა თითქმის ყოველთვის მოშლილ და ამორტიზებულ ინფრასტრუქტურას უკავშირდება. არანაკლებ პრობლემურია მიწოდების მართვა და

[1] რეგიონული განვითარების პროგრამა, პოლიტიკის დოკუმენტების კრებული, ტომი 1, კომუნალური სფერო – წყალმომარაგება, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი 2015.

რესურსის განაწილება ტექნიკურად რეაბილიტირებული სისტემების შემთხვევაშიც კი. მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ხდება რესურსის დატაცება და, სასმელი წყლის შემთხვევაში, არამიზნობრივი გამოყენება. ამ დროს კი მოსახლეობის მეორე ნაწილი წყალს სხვა უბნებიდან ეზიდება. არსებული სიტუაციის მიზეზი სისტემურია.

პროექტის ფარგლებში შევეცადეთ მოგვეხდინა წყლის მოპოვების ალტერნატიული მეთოდების დემონსტრირება[2], მაგრამ ერთხელ რელიეფმა და საჭირო კაპიტალდაბანდების სიდიდემ არ მოგვცა ამის საშუალება, ხოლო მეორეჯერ დონორების მხარდაჭერა ვერ მოვიპოვეთ.

სიტუაციიდან გამოსავალი წყლის რაციონალურ გამოყენებაში უნდა ვეძებოთ. ამჟამად სოფლის მეურნეობის დიდი ნაწილი მოძველებულ, მორწყვის არაეკონომიურ მეთოდებს იყენებს. საჭიროა ახალი წყალდამზოგი მეთოდების დანერგვა, რაც ფართომასშტაბიანი სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია.

ყველა სოფლის პრობლემას სოფლის შიდა გზების მოწყობა წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, თემი ასახელებს თუ არა ამას მთავარ პრობლემად. აღსანიშნავია, რომ სოფლებამდე მისასვლელი გზა, გარდა ნაცარგორასი, ასე თუ ისე ნორმალურია. მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის პრიორიტეტულია ცენტრალური გზა, რადგან შიდა გზები მოკლეა და მათი გაუმართაობა შედარებით ნაკლებ პრობლემას უქმნის მათ. სახელმწიფო სოფლებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას ეტაპობრივად ახორციელებს. ასე რომ, აღნიშნული პრობლემა, სავარაუდოდ, უახლოეს წლებში მოგვარდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტის მსვლელობისას, როცა სოფელ თელიანში პრიორიტეტულად შიდა გზა დასახელდა, დაიწყო სოფლის შიდა გზის გარემონტება მუნიციპალიტეტის გეგმის შესაბამისად.

პრომლემები ერთმანეთთანაც არის კავშირში, მაგალითად, ნაცარგორაში (ხაშურის მუნიციპალიტეტი) დასახელებული ამბულატორიის პრობლემა პირდაპირ ებმის გზების ხარისხს. უახლოესი ამბულატორია სოფლიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული. ასეთი დისტანცია ნორმალურია საშუალო სიდიდის ქალაქებისთვისაც კი, მაგრამ, როდესაც არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გზები დაზიანებულია, არ არის გარე განათება, მაგრამ არის გარეული ცხოველების თავდასხმის საშიშროება, პრობლემა საკმაოდ დრამატულ ელფერს იძენს.

შიდა ქართლის სოფლები გაზით არასოდეს მარაგდებოდა, ამიტომ იქმნება ახალი სისტემა. გაზიფიკაციის პროცესზე გავლენის მოხდენა თითქმის შეუძლებელია, რადგან სფერო კომერციალიზებულია; გარდა ამისა, რესურსები პროექტის მიმდინარეობის პერიოდში თითქმის მთლიანად მიმართული იყო ქართულ-ოსური გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისკენ. ამ გარემოებამ სხვა ჩვენს სამიზნე ტერიტორიებზე პროცესი შეაყოვნა. თუმცა უნდა ითქვას, რომ 2016 წელს სოფელ ხცისში განახლდა გაზიფიკაციის სამუშაოები. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობის წარმომადგენელთა განცხადებით გაზიფიკაციის პროცესი საქართველოში 2017 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.[3]

ახალგაზრდების პრობლემები

იმ დასახლებებში, სადაც ახალგაზრდები მონაწილეობდნენ პრობლემებზე მსჯელობაში, პრიორიტეტულ პრობლემებად სპორტული მოედნის მოწყობა და საზოგადოებრივი ცენტრის შექმნა დასახელდა. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, მიუხედავად პროექტის გუნდის მზაობისა, მხარი დაეჭერა ახალგაზრდებისათვის, მათ

[2] იხილეთ გვერდი
[3] http://kvira.ge/241457

ვერ მოახერხეს ორგანიზება და სამკაციანი საინიციატივო ჯგუფიც კი ვერ შეკრიბეს, რომ მის ბაზაზე ახალგაზრდული/ სპორტული კლუბი ჩამოყალიბებულიყო და ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მუშაობა გაგრძელებულიყო.

სახელმწიფო სერვისების მიწოდება

ტყეკაფის ბარათების გაცემა ♦ სასოფლო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა

პრობლემურია ზოგიერთი სახელმწიფო სერვისის მიწოდებაც. ერთ–ერთად დასახელდა ტყეკაფის ბარათების გაცემის დაგვიანება. ეს ძალიან ამძიმებს ისეთი სოფლების მდგომარეობას, სადაც გაზიფიცირების პროცესი არ დასრულებულა. დაგვიანებული ბარათი ნიშნავს იმას, რომ ამინდის გაუარესების გამო შეუძლებელი გახდება საწვავით მომარაგება. მაშინ ადგილობრივებს შეშის ბაზარზე შეძენა მოუწევთ, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ოჯახის ბიუჯეტს, გაჭირვებული ოჯახები კი საწვავის შეძენას, საერთოდ, ვერც მოახეხებენ.

პრობლემურია ძვირადღირებულ სასოფლო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობაც. მართალია, ეს პრობლემა მხოლოდ ერთ სოფელში დასახელდა, მაგრამ ჩვენი და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა პროექტის ფარლებში ჩატარებილი ადგილობრივი პრობლემების კვლევების მიხედვით, პრობლემა საკმაოდ ფართოა. სახელმწიფოს მიერ შექმნილი სერვის–ცენტრების მომსახურება ყველგან ხელმისაწვდომი და რენტაბელური არაა. სათემო შეხვედრებზე მოსახლეობის მიერ გამოთქმული აზრით, ამ ტექნიკით შესრულებული სამუშაოების ხარისხიც დაბალია.

ისეთ სოფლებში, სადაც პირველადი ინფრასტრუქტურა ასე თუ ისე გამართულია, პრობლემები უფრო ყოფითი ინფრასტრუქტურის განვითარების ჭრილშია განსახილველი. ასეთებია: ნაგვის გატანა, საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და სხვა.

ქალაქის და სოფლის პრობლემები

ურბანულ დასახლებათა პრობლემები საკმაოდ განსხვავდება სოფლის პრობლემებისგან. „ურბანული“ პრობლემები არსებული ინფრასტრუქტურის შეკეთება-ექსპლოატაციას უკავშირდება, ხოლო სასოფლო დასახლებების პრობლემაა ინფრასტრუქტურის არარსებობა, ან თითქმის სრულად განადგურებული ინფრასტრუქტურა. თუმცა, გამონაკლისი ორივე შემთხვევაში გვაქვს. მაგალითად, სურამის და კასპის ჩვენს სამიზნე უბნებში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა და საჭიროა ახალის შექმნა. გიგანტში (ბრეთის მეურნეობის დასახლება) ერთ-ერთ პრობლემად მოქმედი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია დასახელდა.

ქარელში აშკარად გამოიკვეთა საბინაო ამხანაგობების შექმნის აუცილებლობა. ყველა პრობლემა ბინის მცხოვრებთათვის საერთო აღმოჩნდა (შენობის კანალიზაცია, სახურავი, წყალგაყვანილობა). მათი გადაწყვეტის საუკეთესო მექანიზმი ამხანაგობაა. აღსანიშნავია, რომ ქალაქ გორშიც და გორის თემის მუნიციპალიტეტშიც უკვე დიდი ხანია არსებობს ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამა. პროექტის მსვლელობის პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტმაც შემოიღო ანალოგიური პროგრამა. სამწუხაროდ, სხვა სამიზნე მუნიციპალიტეტებში (კასპსა და ქარელში) ამ მიმართულებით მუშაობა არ მიმდინარეობს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის პროგრამა ჯერჯერობით ვერ დაიტვირთა. მაგრამ თუ გავიხსენებთ გორის გამოცდილებას, სადაც პროგრამის ამოქმედება ნელა მოხდა, საზოგადოებასთან ინტენსიურმა მუშაობამ პროგრამა სხვა პროგრამებთან შედარებით ყველაზე პოპულარული გახადა. გორის თემის

მუნიციპალიტეტს მიმდინარე წელს ანალოგიურ პროგრამაში უკვე 250 000 ლარი აქვს ათვისებული, ხოლო გორის მერიამ 30-ზე მეტი პროექტი თანამონაწილეობით დააფინანსა[4].

გორის ცენტრალური ნაწილის განვითარების პრობლემის დაყენება და მასზე რეაგირება დინამიურად და ლოგიკურად განვითარდა. ამ უბანში ეკონომიკური განვითარების წახალისების საშუალებად ტურისტული ნაკადის გორისციხისკენ მიმართვა დასახელდა. ამდენად, დადგა გორისციხეზე დამატებითი ატრაქციების შექმნის აუცილებლობა. გაჩნდა ციხეზე თავდაცვითი შეიარაღებების მუზეუმის შექმნის იდეა და შეიქმნა შესაბამისი პროექტი. მუშაობა რომ ეფექტურად გაგრძელებულიყო, საინიციატივო ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციად **გორი დაუნთაუნი** ჩამოყალიბდა. ორგანიზაციის ინიციატივით თვითმმართველობასა და სხვა ინტერესთა ჯგუფებთან კოორდინირების გასაზრდელად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მერიის ეგიდით. ასევე, გროვდება ხელმოწერები პეტიციაზე, რომ გორისციხე ქალაქ გორს გადაეცეს. ამ პროცესს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა და გორის მოსახლეობაში უფრო და უფრო იზრდება მხარდამჭერთა რაოდენობა.

პრობლემებზე რეაგირება
ცალკეული შემთხვევების აღწერა

ქალაქი გორი

ქალაქ გორის, ძველ უბანში დადგა უბნის ეკონომიკური განვითარების საკითხი. 2011-12 წლებში მოხდა უბნის ნაწილის რეაბილიტაცია, ჩაიდო საკმაოდ დიდი კაპიტალდაბანდება, გარემონტდა 50-ზე მეტი შენობა, მთლიანად განახლდა კომუნიკაციები, მოპირკეთდა ქუჩები, მაგრამ ამ ქმედებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, უბანმა ვერ მოიზიდა ტურისტები, ვერ განვითარდა ტურისტული ინფრასტრუქტურა.

პრობლემების გამოსავლენად და გასაანალიზებლად ჩატარებულ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი. ჯგუფმა პრობლემის გადაწყვეტად ის მიიჩნია, რომ გაიზარდოს გორისციხის ტურისტული მიმზიდველობა. უფლისციხისა და სტალინის მუზეუმის გამო გორზე ტურისტების დიდი ნაკადი გადის; პრობლემა ისაა, რომ ნაკადი გორისციხისკენაც წავიდეს. რიგით ტურისტს ნაკლებ იზიდავს ციხის ცარიელი კედლები, მისთვის საინტერესო ციხის პლატოდან გაშლილი ხედი უფრო იქნება. ამის გათვალისწინებით ტურისტებისთვის დამატებითი ატრაქციები არის გასაკეთებელი.

20-იან წლებში ციხის პლატოზე აშენდა ქალაქის წყლის რეზერვუარი, რომელიც დროთა განმავლობაში დაზიანდა და ფუნქცია დაკარგა. რეზერვუარი წარმოადგენს რკინა–ბეტონის სარკოფაგს, რომელიც ჩაშენებულია ციხის ზედა პლატოში, მიწის საფარის შიგნით. გაჩნდა იდეა, ამ სივრცეში მოეწყოს სამუზეუმო-საექსპოზიციო დარბაზი, რომელშიც გამოიფინება ქართული თავდაცვითი და საბრძოლო ექსპონატები. **საინიციატივო ჯგუფის** ორგანიზებით და შუამავლობით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებსა და კულტურის სამინისტროს უფლებამოსილ პირებს შორის გაიმართა კონსულტაციები. მიღწეულია პირველადი ზეპირი შეთანხმება მუზეუმის შექმნასთან დაკავშირებით. რაკი უშუალოდ ძეგლზე ზემოქმედება მინიმალურია, კულტურის სამინისტროს მხრიდან არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა, პირიქით, გამოითქვა მზადყოფნა ნებისმიერი სახის დახმარებაზე, რაც სამინისტროს კომპეტენციაშია. ეს შეეხება შესაბამისი

[4] ინფორმაცია ზეპირად მოგვაწოდა გორის მერიისა და თემის გამგეობის წარმომადგენლებმა

ნებართვების დროულად გაცემას, სხვა მუზეუმებისა და სახელმწიფო საცავებში დაცული ექსპონატების გამოყოფას ექსპოზიციისთვის და დარბაზის რეკლამირებას. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მოამზადეს პროექტი და წარუდგინეს დონორებს დასაფინანსებლად. ამ ეტაპზე პასუხი ჯერ არ მიუღით.

შენობის რეკონსტრუქციის პროექტი, საერთო ღირებულებით $76 306, შეეთავაზა იაპონიის საელჩოს. დამატებით მომზადდა ორი პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს მუზეუმის დიზაინის კონკურსის მომზადებასა და ჩატარებას. პირველი, რომლის ბიუჯეტია 6 300 ლარი, შეეთავაზა თიბისი ბანკს. მეორე – ბიუჯეტით 11 867 ლარი, შეეთავაზა ევროპის ფონდს. მეორე პროექტი ითვალისწინებს დონორებთან და სპონსორებთან აქტიურ მუშაობას, რათა ეტაპობრივად მოიპოვოს შემდგომი დაფინანსება. ამჟამად ანალოგიური პროექტი – ბიუჯეტით 15 350 ევრო, შეეთავაზა ჩეხეთის საელჩოს. ბოლო პროექტში წინა პროექტებთან შედარებით აქტივობები გაზრდილია; ამასთან იგი ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობის გაფართოებასაც გულისხმობს.

საინიციატივო ჯგუფმა ჩათვალა, რომ ამ პრობლემაზე ეფექტურ, ორგანიზებულ მუშაობას მუდმივი ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება და 2015 წელს დააარსა ორგანიზაცია **გორი დაუნთაუნი**.

პროექტის მსვლელობისას გამოჩნდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომელმაც დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა ქალაქის ცენტრალური ნაწილის განვითარების პრობლემაზე. ბუნებრივია, გარკვეულ მომენტში ამ ორი ჯგუფის საქმიანობა გადაიკვეთა. ამიტომ მათ ერთობლივად დაგეგმეს შემდგომი ქმედებები. ამ საქმიანობაში განსაკუთრებულ ნიშნულს პროექტის ფარგლებში მოწყობილი ქალაქის ცენტრალური ნაწილის განვითარებით დაინტერესებული მხარეების საერთო შეხვედრა წარმოადგენს. ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ პრობლემით დაინტერესებულმა ჯგუფებმა კოორდინერებულად იმოქმედონ და აღინიშნა, რომ აუცილებელია, მერიამ აქტიური მონაწილეობა მიიღოს. მერიას შეეთავაზა, რომ მან შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ქალაქის აღნიშნული ნაწილის განვითარებით დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები გაერთიანდებიან; ასევე, ამ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გორისციხის უკეთ მოვლა-პატრონობის მიზნით საჭიროა, გორისციხე გორის მერიას გადაეცეს. მოვლა-პატრონობის პრობლემა იკვეთება სურამის ციხის შემთხვევაშიც. ასე რომ, აუცილებელია, მეტი იყოს თვითმმართველობის როლი ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში.

ამ ეტაპზე **გორი დაუნთაუნი** პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით აგროვებს ხელმოწერებს პეტიციაზე, რომელშიც მოითხოვენ გორისციხის გორისთვის გადაცემას.

სოფელი ხცისი, ხაშურის მუნიციპალიტეტი

სოფელში ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილი არ არსებობს. არადა, სოფელში არიან ახალგაზრდები, რომელთაც სურთ, სოფლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

პირველ ეტაპზე სათემო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სოფლის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოწყობილიყო პარკი, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებოდათ უფასო ინტერნეტით ესარგებლათ. გამგეობასთან კონსულტაციით გადაწყდა, რომ ადმინისტრაციულ შენობაში ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილ ოთახში ერთად შეექმნათ საზოგადოებრივი ცენტრი. კავკასიურ ინსტიტუტს, ხაშურის მუნიციპალტეტის გამგებელს და ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე გამგეობამ ადმინისტრაციულ შენობაში გამოყო ფართი. იგი, ხაშურის

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკამ გაარემონტა და დადგა კომპიუტერი. გამგეობა უზრუნველყოფს ინტერნეტის მიწოდებას და სოფლის გაზიფიკაციის დასრულების შემდეგ გეგმავს გამათბობლის დამონტაჟებასაც.

მემორნდუმის თანახმად, კავკასიურმა ინსტიტუტმა პროექტის ფარგლებში შეიძინა ავეჯის მასალა და სოფლის ახალგაზრდებმა თავად ააწყეს ავეჯი (მაგიდები და თაროები) ცენტრისთვის. კავკასიურმა ინსტიტუტმა ცენტრს ასევე შეუძინა სკამები, დაფები და ცენტრისთვის საჭირო საკანცელარიო საქონელი და აქსესუარები.

სოფლის ახალგაზრდებისთვის უკვე მოეწყო შეხვედრა ***თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის*** წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააცნეს ახალგაზრდული პროექტების საკუთარი მდიდარი გამოცდილება ახალგაზრდებს. იგეგმება სხვა შეხვედრების ორგანიზებაც. ადგილობრივმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, ორგანიზაციულად ჩამოყალიბდნენ და დააარსონ სათემო კავშირი. იგეგმება სხვა ღონისძიებების ჩატარებაც – ტრენინგ-სემინარები და სამუშაო შეხვედრები. ცენტრში ამუშავდება ბიბლიოთეკაც.

პროექტის ძირითადი მიგნებები და საკითხები, რომელზეც მუშაობის გაგრძელებაა საჭირო

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის საფუძველზე პროექტის გუნდმა ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი გამოყო, რომლებზეც საჭიროა მუნიციპალურ და/ან ცენტრალურ დონეზე ადვოკატირება გაგრძელდეს.

1. **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მოსახლეობას შორის რეგულარული/მდგრადი თანამშრომლობის ხელშეწყობა.** პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის წინაპირობას ადგილობრივ მოსახლეობას და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ხშირად პარტნიორული ურთიერთობის პირველი პრეცენდენტის შექმნაც წარმოადგენს. თანამონაწილეობის ორმაგ სარგებელზე მრავალი მაგალითი, მათ შორის, კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივები მიუთითებს. პრობლემის მოგვარების კუთხით ის შემთხვევები შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად, რომლებშიც ადგილობრივი ხელისუფლებაც და მოსახლეობაც ჩართული იყო. შედეგად მოქალაქეებმა მიიღეს სრულად ან ნაწილობრივ მოგვარებული პრობლემა, ხოლო მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ წარმატებით შესრულებული საქმე და საკუთარი ამომრჩევლის ნდობა.

ასეთი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას მრავალი ფაქტორი აბრკოლებს, მათ შორის. საკითხისადმი დამოკიდებულებაც. ყოფითი საკითხებით დატვირთული მოსახლეობა საკუთარი დასახლების წინაშე არსებულ პრობლემებზე პასუხისმგებლობას მთლიანად ხელისუფლებას აკისრებს და სათემო მობილიზებას სკეპტიკურად უყურებს. შედეგად ვერ ხედავს აქტიურობის აზრს. ადგილობრივ ხელისუფლებას კი ხშირად უჭირს, თვითმმართველობის პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელობა და სარგებელი დაინახოს. დამატებით საქმიანობად მიიჩნევს მოსახლეობასთან აქტიურ კომუნიკაციას და ვერ ითვალისწინებს, რომ მოსახლეობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში.

თანამშრომლობის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მოსახლეობა მობილიზებას უკეთებენ საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას, ასევე, მათ ხელთ არსებულ ნებისმიერ რესურსს და ძალისხმევას კონკრეტული საკითხების მოგვარებისკენ მიმართავენ.

2. **მცირერიცხოვანი დასახლებების მხარდაჭერა და მათი პრობლემების ადვოკატირება.** მუნიციპალიტეტებში, სადაც რამდენიმე ათეული სოფელი შედის, პატარა დასახლებებისთვის რთულია საკუთარი პრობლემების თვითმმართველობის ორგანოებთან ადვოკატირება. ერთადერთი სტაბილური რესურსი მათთვის სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მიღებული ყოველწლიური დაფინანსებაა, რომელიც მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო მცირე თანხას წარმოადგენს და ხშირად საკმარისი არ არის პრობლემის ბოლომდე მოსაგვარებლად.

მცირე დასახლებების წინაშე არსებული პრობლემები საკმაოდ მძიმეა და მათი მოუგვარებლობა, ცხოვრების ხარისხის გაუარესების გარდა, დამატებით ხარჯს წარმოადგენს თითოეული მოსახლისთვის (მაგალითად, ექიმის მომსახურების მისაღებად მეზობელ სოფელში წასვლა, გზის გაუმართაობის გამო მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეზრუდული ხელმისაწვდომობა და ა.შ.).

2015 წელს თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი ფორმები (მათ შორის, დასახლების საერთო კრება, პეტიციის წარდგენის გამარტივებული წესი), ამოქმედების შემთხვევაში კარგ შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობას, საკუთარი პრობლემები თვითმმართველობის ორგანოებამდე მიიტანოს – ხელისუფლებას კი – უფრო ინფორმირებული იყოს შესაბამისი დასახლებების სირთულეებზე და ეფექტურად მოახდინოს მათზე რეაგირება.

საერთო კრების ჩატარების მიმართ ძირითად კრიტიკულ შენიშვნებში პროცედურული სირთულე აღინიშნება, რაც დიდ დასახლებებში კრების უფლებამოსილების მიღწევის სირთულეს ქმნის. მცირე დასახლებებისთვის (500-ამდე რეგისტრირებული მოსახლე) ამჟამად გაწერილი პროცედურები არ არის რთულად შესასრულებელი.

ასევე მნიშვნელოვანია პატარა დასახლებების სპეციფიკის გათვალისწინება მუნიციპალიტეტის ან ცენტრალურ დონეზე მიზნობრივი პროგრამის განვითარების პროცესში. სოფლების პასპორტიზაციაც ეფექტური საშუალება შეიძლება იყოს პრობლემების იდენტიფიცირების და მათზე რეაგირების დასაგეგმად.

3. **ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ინოვაციური მეთოდების დანერგვა.** პროექტის სამიზნე დასახლებების უმეტესობაში დასახელებულ პრობლემებს შორის ინფრასტრუქტურული საკითხები, განსაკუთრებით – სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდება, ჭარბობდა. პროექტის ფარგლებში სოფელ ოლავერდში მოხდა ინოვაციური მეთოდის დემონსტრირება და წყლის მიწოდების პრობლემის წყალსაქაჩი ტუმბო „ირეკსონით“ მოგვარება. ასეთი მიდგომების დანერგვას რამდენიმე უპირატესობა აქვს. ინოვაციური ტექნოლოგია შედარებით იაფი და მარტივია, არის ეკოლოგიურად სუფთა, აქვს მცირე საექსპლუატაციო ხარჯი და ექსპლუატაციის ხანგრძლივი ვადა.

მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მოძიებული და გათვალისწინებული იყოს ენერგოეფექტური ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელთა დანერგვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯს დაზოგავს და გაზრდის მის ეფექტიანობას. ასევე შესაძლე-

ბელს გახდის გრძელვადიანი მოუგვარებელი და ძვირადღირებული პრობლემების მარტივად და შედარებით მცირე დანახარჯით მოგვარებას.

4. ადგილობრივი მნიშვნელობის უძრავი ქონების და კულტურული მემკვიდრეობის მუნიციპლიტეტისთვის გადაცემის ადვოკატირება

ამ საკითხის აქტუალობა დადგა იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც უძრავი ქონების/კულტურული ძეგლების ადგილობრივი განვითარებისთვის ფუნქციური დატვირთვის იდეა გაჩნდა ან დადგა მათი მოვლა-შენახვის საკითხი. თვითმმართველობის ორგანოებს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების/ძეგლის მოვლა და რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის უფლებამოსილება აქვთ. ადგილობრივ ხელისუფლებას ცენტრალური ხელისუფლების (ეკონომიკის სამინისტროს ან კულტურის სამინისტროს) ბალანსზე არსებული ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა და/ან გაწეული ხარჯი არამიზნობრივად ჩაეთვლება.

ადგილობრივი მნიშვნელობის უძრავი ქონების/ძეგლების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა გაამარტივებს ქონების მდგომარეობის მონიტორინგს და მოვლა-პატრონობას, გაზრდის ქონების ფუნქციურ დატვირთვაზე საზოგადოებრივ გავლენას, მეტი ეკონომიკური და საზოგადოებრივი სასარგებლო ფუნქციით დატვირთავს მას. გადმოცემის შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხე შესაძლოა ადგილობრივ დონეზე ძეგლის მოვლა-პატრონობის კომპეტენციის უქონლობა ან ძალაუფლების ბოროტად ან კერძო ინტერესებში გამოყენება აღმოჩნდეს. თუმცა ეფექტური ზედამხედველობის და ნებართვების სისტემების, ასევე, საზოგადოებრივი კონტროლის შემთხვევაში რისკი მინიმალურია. სირთულეს შეიძლება ძეგლის მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის სიძვირეც წარმოადგენდეს. დაფინანსების მოსაპოვებლად, გარდა შესაბამისი საქმიანობისთვის გამოყოფილი ხარჯების თვითმმართველობებისთვის დელეგირებისა, მუნიციპალიტეტს შეუძლია მიმართოს სახელმწიფო ფონდებს ან დონორ ორგანიზაციებს. კონკრეტული ძეგლის ან უძრავი ქონების რეაბილიტაციის საკითხი შესაძლოა უფრო სწრაფად დადგეს დღის წესრიგში. ამის ლობირებას შესაბამისი მუნიციპალიტეტი გასწევს.

5. ახალგაზრდებისთვის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა ადგილებზე. სათემო შეხვედრებზე ახალგაზრდული საკითხების დასახელება მათ მნიშვნელობაზე მიუთითებს. უმაღლეს ან პროფესიულ, ასევე, არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, სპორტული მოედნებისა და დარბაზების სიმწირე ახალგაზრდობის ჯანსაღი განვითარების მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. განვითარების უპერსპექტივობის ნეგატიურ შედეგებს შორის მოსახლეობა ასახელებს ახალგაზრდების მიგრაციას, არაჯანსაღი ცხოვრების სტილის დამკვიდრებას, ზოგჯერ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობაში ჩართვას და ა.შ.

მუნიციპალიტეტებში, სადაც სამოქალაქო სექტორი ნაკლებად არის განვითარებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ცენტრების შექმნა, სადაც ახალგაზრდები არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეძლებენ სამოქალაქო ინიციატივების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელებას და არაფორმალური განათლების

პროგრამების ორგანიზებას. ასეთი საქმიანობა ხელს უწყობს ახალგაზრდების პიროვნულ განვითარებას და ამდიდრებს მათ გამოცდილებას და, რაც მთავარია, ზრდის აქტიური მოქალაქეების რიცხვს.

ბევრ დასახლებაში არსებობს ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც მოტივირებულია ჩაერთოს სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა მხარდაჭერის გარეშე ისინი ბევრ სირთულეს აწყდებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს და წაახალისოს ისინი, მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად გამოუყოს, მოაწყოს და აღჭურვოს შესაბამისი სპორტულ-საგანმანათლებლო სივრცეები.

დანართები

დანართი I – აჭარა

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება
ქალაქი ბათუმი	**მეჯინისწყალი**	1. სასმელი წყალი არასკმარისია და დაბინძურებულია. 2. უბანში არაა საკანალიზაციო სისტემა. 3. არ არის საბავშვო გასართობი ადგილი.	1/2. აუცილებელია მიზნობრივი პროგრამის შემუშავება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დასახლებაში სასმელი წყლის და საკანალიზაცი სისტემის გაყვანა და ქალაქის ქსელზე მიერთება. 3. დასახლებაში არსებობს ტერიტორია, სადაც შესაძლებელია საბავშო გასართობი ადგილის გაკეთება, ტერიტორიის ფართობი – 70 კვ.მ-ია. მოსახლეობას შეუძლია შესაბამისი თხოვნით მიმართოს ბათუმის მერიას.
	ანგისას დასახლება	1. დასახლება განლაგებულია ბათუმი-ახალციხე და ბათუმი-სარფის მაგისტრალის გასწვრივ. დიდი მოძრაობის გამო ხშირად ადგილი აქვს უბედურ შემთხვევებს. გზაზე არ არის დამონტაჟებული შუქნიშანი და „მწოლიარე პატრული“, არ არსებობს ვიდეო-კონტროლი. 2. დასახლებაში არ არის საკანალიზაციო სისტემა.	1. იხილეთ გვ. 7 2. 2016 წლიდან დაიწყო დასახლებაში კანალიზაციის ქსელის გაყვანა.
	ასათიანის ჩიხი	1. უბანში მოუწესრიგებელია გზა. 2. არ არის საბავშვო გასართობი მოედანი. 3. ნაგვის ურნები განლაგებულია მხოლოდ ქუჩის დასაწყისში და მოსახლეობას საკმაოდ დიდი მანძილის გავლა უწევსნაგვის გადასაყრელად.	1. მერიის ინფორმაციით, ქალაქ ბათუმში მიმდინარეობს წყლის და საკანალიზაციო სისტემის რეაბელიტაცია, შესაბამისად, გზის საფარი მოასფალტდება მას შემდეგ, როდესაც აღნიშნულ დასახლებაში მოწესრიგდება მინისქვეშა კომუნიკაციები, რომელთა დასრულება იგეგმება 2018 წლისთვის. 2. უბანთან ახლოს არის ტერიტორია, რომელზეც შესაძლებელია საბავშვო მოედნის მოწყობა. 3. მოსახლეობამ, საკითხის ადვოკატირების მიზნით, შესაბამისი ინიციატივით უნდა მიმართოს მერიის შესაბამის სამსახურს.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება
შუახევი	**დაბა შუახევი**	1. დაბაში მომრავლებული მაწანწალა ძაღლები საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას. 2. სამიზნე უბნის მოსახლეობა პრობლემად მიიჩნევს დაბაში თავშეყრის ადგილის სპორტული გასართობი მოედნის არარსებობას. 3 . დაბაზე გამავალ გზაზე არსებობს კლდოვნი მასის ჩამოშლის საშიშროება.	1. აუცილებელია მუნიციპალური ან სახელმწიფო პროგრამის განვითარება მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად. 2. მოედანი და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი უბნიდან დაშორებულია 500-700 მეტრით. ამიტომ საკითხზე მუშაობა არ გაგრძელებულა. 3. შესაძლებელია გაკეთდეს დამცავი ბადე, რომელიც ქვის ცვენას შეაჩერებს.
	სოფელი ლაკლაკეთი	1. სოფელში არ არის სამედიცინო პუნქტი. სამედიცინო დახმარების მიღება გართულებულია უამინდობის პირობებში. 2. სოფლის ადგილობრივ გზას არ გააჩნია სანიაღვრე არხები, რის გამოც გზა ხშირად ზიანდება. 3 . სოფლის დახმარების პროგრამით სოფელმა ააშენა სოფლის სახლი. ამ ეტაპისთვის სოფელს არ გააჩნია მოპირკეთებისა და ინვენტარით აღჭურვის თანხები.	1. მოსახლეობა მზადყოფნას გამოთქვმდა დაეთმო სათანადო ფართი სოფლის სახლში მედპუნკტის მოსაწყობად, თუ მოხდებოდა ინვენტარით უზურნველყოფა. გამგეობა დაუშვებდა ექთნის შტატს – აღნიშნულის შესახებ შეხვედრაზე განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა, რომელიც არის ლაკლაკეთის მკვიდრი. ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მედპუნქტის გაკეთება. 2. აუცილებელია სოფლის შიდა გზის მთლიანი რეაბელიტაცია და მისი სანიაღვრე არხებით აღჭურვა. 3. სოფლის სახლის დასასრულებლად სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია რესურსების გამოყოფა ან სხვა დაფინანსების მოძიება.
	სოფელი ცივაძეები	1. სოფელში არსებული სარწყავი წყლის არხის 30–მეტრიანი მონაკვეთი განადგურებულია, ხოლო დანარჩენი მონაკვეთები ალაგ–ალაგ არის დაზიანებული. 2. სოფელში არ არსებობს სპორტულ/კულტურული საგანმანათლებლო ცენტრი. 3. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია, რის გამოც ტრანსპროტის მოძრაობა ფერხდება.	1. პრობლემების ანალიზის პროცესში სოფელმა გადაწყვიტა, ამ პრობლემას არ შეხებოდა. მათი თქმით, ცივაძეებსა და ჭვანას შორის სარწყავი წყლის თაობაზე საუკუნეობრივი დავა მიმდინარეობს და თვითონ აგვარებენ ტრადიციებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით. თუ ცივაძეები თავისთვის მოაგვარებს სათავიდან წყლის გამოყვანას, შეიძლება ჭვანას მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიოს და გადაიზარდოს სერიოზულ კონფლიქტში. „არ ავნოს“ პრინციპიდან გამომდინარე, თვითონ სოფელმა თქვა უარი ამ პრობლემის ცალმხრივად მოგვარებაზე. 2. სოფელში არ არის საკმარისი მოცულობის ტერიტორია, სადაც რაიმე ტიპის სპორტული მოედანი მოეწყობოდა ან სოფლის სახლი აშენდებოდა. 3. იხილეთ გვ. 9

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება
ხულო	**დაბა ხულო**	1. მოსახლეობის განცხადებით, სათავე ნაგებობა, რომლითაც მარაგდება დაბა ხულო სასმელი წყლით ამორტიზირებულია და საჭიროებს რეაბელიტაციას. სასმელი წყალი დაბინძურებულია და გრაფიკით მიეწოდება. 2. მოსახლეობამ გამოთქვა ინტერნეტის შემოყვანის სურვილი. ვერ შემოჰყავთ იმიტომ, რომ დაბაში არ არსებობს კომპანია, რომელიც ამ სერვისს შესთავაზებს მათ, 3. უბანში არ არსებობს ბავშვებისათვის გასართობ-დასასვენებელი ადგილი. კორპუსების სიახლოვეს არის თავისუფალი ტერიტორია, რომელზეც შესაძლებელია მოეწყოს სკვერი და ბავშვთა გასართობი ადგილი.	1. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა განხორციელა სათავე ნაგებობის რეაბილტაცია. 2. პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია იმ კომპანიების ფინანსურ დაინტერესებაზე, რომელთაც აქვთ აღნიშნული სერვისები. 3. საინიციატივო ჯგუფმა ხულოს გამგეობაში წარადგინა განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა 80 ადამიანი. მოსახლეობა ითხოვდა ნებართვას, მოეწყოთ სკვერი მათ სიახლოვეს მდებარე სივრცეში. მოსახლეობამ გამგეობისგან მიიღო დადებითი პასუხი. პროექტის ფარგლებში მოწვეულმა არქიტექტორმა მოამზადა პირველადი ნახაზი, რომლის თანახმად სკვერის მოწყობამდე უნდა აეშენებინათ დამცავი კედლები, რადგან ტერიტორის გასწვრივ გადის სამანქანო გზა და არსებობს მისი ჩამოშლის საშიშროება. დამცავის კედლის მშენებლობისათვის აუცილებელია დაახლოებით 80 000 ათასი ლარი. მოცემულ ეტაპზე აღნიშნული თანხის გამოყოფა მუნიციპალიტეტს არ შეუძლია.
	სოფელი ჯვარიქეთი	1. სასმელი წყალი სოფელს მიეწოდება ღია ტიპის არხებით. არ არსებობდა სათავე ნაგებობა, წყალი არ იფილტრებოდა, რის გამოც წყალი ხშირად წყდებოდა და დაბინძურებული სახით მიეწოდებოდა. 2. შვიდკილომეტირიანი წყლის არხი დაზიანებულია. სოფელს არ მიეწოდება სარწყავი წყალი. 3. დიდი ზომის ხის შენობა -„სოფლის სახლი“ ააშენა მოსახლეობამ საკუთარი ძალებით. ის არ არის აღჭურვილი ინვეტარით. სოფელს არ გააჩნია შესაბამისი სახსრები მის მოსაწყობად.	1. იხილეთ გვ. 8 2. პროექტში ჩართული ხულოს კოორდინატორის და მოსახლეობის აქტიურობის შედეგად მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო თანხები და 2015 წელს განხორციელდა სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. 3. კავკასიური ინსტიტუტმა და პარტნიორმა ორგანიზაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლმა“ გადასცა სოფლის მოსახლეობას 250 დასახელების წიგნი. მიეწოდა ინფორმაცია ასოციაციას „ერთმანეთისათვის“, რომლის წარმომადგენლებმაც სოფელს გადასცეს 50 წიგნი საჩუქრად და დაპირდნენ სოფლის სახლის აღჭურვეს დახმარებას.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება
ხულო	**სოფელი ღურტა**	1. ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი ხუთკილომეტრიანი სოფლის გზის ალტერნატივად სოფელმა გაჭრა რვაასმეტრიანი გზა, რომელიც არ არის რეგისტრირებული. 2. სოფლის მოსახლეობა ტყიდან საშეშე მასალის ტრანსპორტირებისას იყენებს „ზეგანის“ გზას, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია. 3. სოფელში მუშაობენ ექიმი და ექთანი, მაგრამ არ არსებობს მედპუნქტი, რის გამოც მოსახლეობა ვერ ღებულობს სათანადო მომსახურებას. სოფლის მოსახლეობამ გამოთქვა სოფლის სახლში მედპუნქტის მოწყობის სურვილი.	1. უნდა მოხდეს არსებული გზის შესწავლა სპეციალისტების მიერ, თუ რამდენად უსაფრთხოა მისი გამოყენება. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, უნდა მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტაცია და მოსახლეობის სახელით მუნიციპალიტეტს წარედგინოს პეტიცია გზისთვის სტატუსის მინიჭების პროცედურების დასაწყებად. 2. მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ გზის რეაბილიტაცია ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, რადგან არსებულ კლიმატურ პირობებში ზამთარსა და შემდგომაზე გზა ისევ დაზიანდება. 3. მოსახლეობის განცხადებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით დაგეგმილია 2017 წელს მედპუნქტის მოწყობა და მისი სათანდო ინვენტარით აღჭურვა.
ხელვაჩაური	**სოფელი ჭარნალი**	1. მოსახლეობის განცხადებით, გაზის მილი მოყვანილია სოფელ ახალსოფელში, რომელიც დაშორებულია სოფლიდან 2,5 კილომეტრით და დღემდე, მიუხედავად არა ერთი თხოვნისა, არ მომხდარა სოფლის გაზიფიცირება. 2. სოფელში არ არის ამბულატორია, რის გამოც მოსახლეობას უბნის ექიმთან ვიზიტისთვის უწევს მეზობელ სოფელში გადასვლა. 3. მოუწესრიგებელია სოფლის შიდა გზები.	1. სოფლების გაზიფიცირება მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს სოფელ ჭარნალის გაზიფიცირებას. 2. აჭარის ჯანდაცვის სამინისტორს ინფორმაციით უახლოეს პერიოდში არ არის დაგეგმილი სოფელში ამბულატორიის გახსნა. 3. მოსახლეობის განცხადებით, სოფლის დახმარების პროგრამით და მუნიციპალიტეტის დაფინანსებით პირველ ეტაპზე განსაკუთრებულად დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება ხდება.
	სოფელი ჩხუტუნეთი	1. სოფელში არ არის კლუბი, რომელიც მოსახლეობის თავშეეყრის ადგილიც იქნებოდა. სოფელში არსებობს შენობა, რომელშიც მოსახლეობას სურს კლუბის მოწყობა. 2. არ არსებობს საბავშვო ბაღი (სოფელში დაახლოებით 50–ამდე სკოლამდელი ასაკის ბავშვია). 3. არ არსებობს სარწყავი წყლის სისტემა.	1. პროექტის ფარგლებში შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა ინფორმაცია შენობების მესაკუთრეების დასადგენად. მიღებული პასუხის თანხმად შენობა იმყოფება აჭარის ეკონომიკის სამინისტორს ბალანსზე. უნდა გაგრძელდეს საკითხის ადვოკატირება. 2. აღნიშნული პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია მუნიციპულურ ხელისუფლებაზე, მნიშვნელოვანია, აღნიშნულმა ჯგუფმა გააგრძელოს საკითხის ადვოკატირება. 3. მოსახლეობის განცხადებით, საჭიროა მცირე ზომის წყლის შემკრები ხუთი ნაგებობის აშენება, რომ ყველა ოჯახმა მიიღოს წყალი. თუმცა არ არის დადასტურებული, საკმარისი იქნება თუ არა არსებული წყლის რესურსი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. საჭიროა საკითხის შემდგომი შესწავლა.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება
ხელვაჩაური	**სოფელი ერგე**	1. სოფლის ცენტრში არის ტერიტორია, რომელზეც მოსახლეობას სურს მოაწყოს პარკი და სპორტული მოედანი. 2. სოფელში განლაგებულია სოფლის კლუბი, რომელიც აშენდა საბჭოთა დროს. კლუბის აღჭურვილობა არის მოძველებული და საჭიროებს განახლებას. 3. საბავშვო ბაღი განთავსებულია ერგეს საჯარო სკოლის შენობაში. ფართი არასაკმარისია, რადგან ემსახურება რამდენიმე სოფელს. სკოლის შენობაში საბავშვო ბაღის არსებობა პრობლემას უქმნის სკოლის მოსწავლეებსაც და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც.	1. გამგეობიდან მიღებული პასუხის თანხმად აღნიშნული ტერიტორიაზე სახლის მშენებლობა არ იგეგმება. პარკის მოსაწყობად აუცილებელია პირველ ეტაპზე საპროექტო წინადადების მომზადება, მისი შემდგომი ადვოკატირების მიზნით. 2. კლუბი არის ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის ბალანსზე, შესაბამისად, მისი რეაბილიტაცია ეხება ცენტრს და მის წარმომადგენლებთან უნდა მოხდეს ადვოკატირება. 3. აღნიშნული პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია მუნიციპულურ ხელისუფლებაზე. უნდა მოხდეს მასთან ადვოკატირება.
ქობულეთი	**ქობულეთი – გილაურის დასახლება**	1. დასახლებაში არ არსებობს საბავშვო ბაღი – ხოლო ქობულეთის ბაღებში ადგილების ნაკლებობის გამო ბავშვები რჩებიან სკოლამდელი განათლების გარეშე. 2. დასახლებაში მცხოვრებმა ბოშებმა ჩამოაყალიბეს მუსიკალური ჯგუფი „მიქსი“. ბოშების ანსამბლს არ მიეცა სხვადასხვა ადგილში (რესტორნებში და კაფეებში) გამოსვლის შესაძლებლობა. ანსამბლის წევრები წარუმატებლობას ბოშების მიმართ შექმნილ სტერეოტიპებს უკავშირებენ. 3. დასახლებაში არ არსებობს საბავშვო და სპორტული მოედანი, რის გამოც ბავშვებს ქუჩაში უწევთ თამაში.	1. მოსახლეობამ შეიძლება შეადგინოს პეტიცია და მიმართოს საკრებულოს 2. ანსაბლის პოპულარიზაციის მიზნით პარტნიორმა ორგანიზაციამ „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლმა“ გადაწყვიტა მათი ქალაქ ბათუმში მოწვევა. სამწუხაროდ, ანსაბლი დაიშალა უსახსრობის გამო. 3. მოსახლეობას შეუძლია შეადგინოს პეტიცია და მიმართოს საკრებულოს.
	სოფელი გორგაძეები	1. სოფელში ბუნებრივი გაზი არ არის. 2. საბავშვო ბაღი შორს მდებარეობს, რის გამოც მოსახლეობას დიდი მანძილის გავლა ან კიდევ ავტომანქანის დაქირავება უწევთ. 3. დაზიანებულია შიდა სასოფლო გზები.	1. სოფლების გაზიფიცირება მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს გორგაძეების გაზიფიცირებას. 2. აღნიშნული პრობლემის მოგვარება დამოკიდებულია მუნიციპულურ ხელისუფლებაზე, რომელთანაც უნდა მოხდეს საკითხის ადვოკატირება. 3. გზების კეთილმოწყობა დაწყებულია სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში. თუმცა ამ პროგრამაში ვერ მოხდება პრობლემის დროულად აღმოფხვრა.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება
ქობულეთი	**სოფელი ქვედა კვირიკე**	1. სოფელში ბუნებრივი აირი არ არის. 2. ცენტრალური გზის ნაწილი და სოფლის შიდა გზები დაზიანებულია. 3. ქვედა კვირიკეში არ არსებობს ამბულატორია. სოფლის ექიმი კვირაში მხოლოდ ერთხელ მოდის.	1. სოფლების გაზიფიცირების დამტკიცებულ გეგმაში ამ სოფლის გაზიფიცირება არ არის გათვალისწინებული. 2. სოფელთან ახლოს მიმდინარეობს ავტობანის ბათუმი -თბილისის მშენებლობა, შესაბამისად გზაზე გადაადგილდება დიდ ტონაჟის მანქანები. ავტობანის მშენებლობის დასრულებამდე არ იგეგმება ასფალტის საფარის დაგება. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია კი მუნიციპალური ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის. 3. მოსახლეობამ სასურველია მოამზადოს მიმართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს სახელზე და მოითხოვოს სოფელში ექიმის შტატის დაშვება და მედპუნქტის გახსნა.
ქედა	**დაბა ქედა**	1. ბავშვებს თამაში უწევთ ეზოში სადაც მოძრაობს მანქანები. 2. სახურავებიდან თოვლის დიდი მასის ვარდნა მოსახლეობას საფრთხეს უქმნის. 3. კორპუსის ეზოზე გადის საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზა. ავტომანქანების სწრაფი მოძრაობა საფრთხე უქმნის კორპუსის ბინადრებს.	1. მოსახლეობის განცხადებით, ეზოში განლაგებული ამორტიზირებული ელექტორო–ქვესადგურის შენობა და მისი დემონტაჟის შემთხვევაში შესაძლებელია მოეწყოს მოედანი. მოსახლეობის განცხადებით აღნიშნული შენობა შედიოდა ამხანაგობის ტერიტორიის ფარგლებში, რაც დოკუმენტურად ვერ დაადასტურეს. მოსახლეობას ვთხოვეთ დაეზუსტებინათ აღნიშნული საკითხი გამგეობაში, მაგრამ ამ მიმართულებით აღარ უაქტიურიათ. 2. მოსახლეობამ კოლექტიური განცხადებით უნდა მიმართოს გამგეობას. 3. მოსახლეობამ უნდა მიმართოს ადგილობრივ ხელისუფლებას „მწოლიარე პოლიციელის“ გაკეთების თხოვნით.
	სოფელი ჭინკაძეები	1. სასმელი წყლის მომწოდებელ ავზს არ გააჩნდა ჰერმეტული სახურავი, გამწმენდი ფილტრები, ამის გამო დაბინძურებული წყალი მოდიოდა. ხშირად ავზში ქვეწარმავლებლები აღწევდნენ. 2. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია. 3. არ არის სოფელში ახალგაზრდებისთვის გასართობი ცენტრი, საფეხბურთო მოედნი.	1. იხილეთ გვ. 9 2. მოსახლეობის განცხადებით, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით ხდება განსაკუთრებით დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება. 3. სოფელს არ აქვს შესაფერისი ზომის შენობა, რომელშიც შესაძლებელია სოფლის სახლი მოეწყოს. ასევე, სოფელში არ არსებობს ტერიტორია, რომელზეც სპორტული მოედანი მოეწყობა.
	სოფელი პირველი მაისი	1/2. სოფელში სასმელი და სარწყავი წაყლი არასტაბილურად მიიწოდება, სასმელი წყალი დაბინძურებულია. 3. სოფლის ცენტრში მდებარე სპორტულ მოედანს რეაბილიტაცია სჭირდება.	ექვსი–შვიდი წლის წინ სოფლეში არასამთავრობი ორგანიზაციების პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა ერთი კილომეტრი სარწყავი წყლის სისტემა, რომელმაც ვერ იმუშავა, რადგან არ მომხდარა მისი დასუფთავება. შედეგად წყლის ნაკადმა მილებში შეიტანა სილა და ღორღი. მილები გაივსო შლამით და საგრძნობლად იკლო წყლის მოცულობამ.

დანართი II – სამცხე-ჯავახეთი

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
ბორჯომი	**დაბა ბორჯომი** ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელი	1. ბინადრებმა წლების წინ თვით-ნებურად დაიკავეს საცხოვრებელი ფართები, არა აქვთ ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ელექტროქსელი მოუწესრიგებელი და ავარიულია.	იხილეთ გვ, 13
	სოფელი ტაძრისი[1]	1. სოფელს არა აქვს სარწყავი წყალი. 2. სოფელს არა აქვს სპორტული მო-ედანი.	1. მოსახლეობას დაგეგმილი აქვს, პრობლემა სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მოაგვაროს. 2. ამ საკითხზე უნდა მოხდეს ადვოკატირება ადგილობრივ ხელი-სუფლებასთან.
	ჭობისხევი	1. არ აის სარწყავი წყლის სიტემა. 2. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია. 3. სოფელი არ არის გაზიფიცირებული.	1. უნდა მოხდეს ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან. შესაძლებელია საკითხის განხილვა სოფლის დახმარების პროგრა-მის ფარგლებში. 2. აღნიშნულ გზებს იყენებენ ხე-ტყის საზიდად, შეუძლებელია მათი წესრიგში მოყვანა. 3. მოსახლეობამ ერთობლივად უნდა მიმართოს შესაბამის კომპა-ნიას, იგეგმება თუ არა სოფლის გაზიფიცირება.
ასპინძა	**დაბა ასპინძა**	1. სასმელი წყლის რაოდენობა არა-საკმარისია. 2. საბავშო ბაღი ვერ აკმაყოფილებს ყველა მსურველს.	1. გამგეობის განმარტებით, წყლის პრობლემის მოსაგვარებლად გამოცხადდა ტენდერი. გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია. მიმდინარეობს სამუშაოები. 2. მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა ორი ბაღის რეაბილიტაცია.

[1] სოფლების ტაძრისის და ჭობისხევის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია დაიგეგმოს შემოსავლის დამატებითი წყაროების განვითარების პროგრამები, მაგალითად: მცირე გადამამუშავებელი საწარმოები, საოჯახო სასტუმროები და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
ასპინძა	**ოშორა**	1. ყოველ წელს დიდი რაოდენობით საქონელი იხოცება. 2. მოსახლეობის თქმით, დაბინძურებულია სასმელი წყალი.	1. პროექტის ჯგუფმა დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ თემს შესთავაზა დაარსებულიყო კერძო ვეტერინალური კლინიკა (სავარაუდო ღირებულება 10.000 აშშ დოლარი). პროექტის წარმომადგენლების დახმარებით მომზადდა პროექტი, გამოინახა დაინტერესებული დონორი. თემმა არ გამოიჩინა ინიციატივა. 2. წყლის სისტემა ეკუთვნის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას. მოსახლეობას მივაწოდეთ ინფორმაცია, როგორ უნდა მოსთხოვონ კომპანიას წყლის ხარისხის სტანდარტების დაცვა.
	სარო	1. სოფელს არა აქვს სარწყავი წყალი.	პროექტის გუნდის წევრები შეხვდნენ რეგიონული განვითარების ფონდის წარმომადგენელს და მიაწოდეს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე. წყალსაქაჩი სისტემა აღდგენილია.
ადიგენი	**დაბა ადიგენი**	1. სასმელი წყლის სისტემა გაუმართავია. 2. მრავლდება მაწანწალა ძაღლები. 3. ახალგაზრდებს არ აქვთ თავშეყრის ადგილები.	1. პრობლემის მოსაგვარებლად მოსახლეობამ უნდა მოახდინოს ადვოკატირება. 2. აუცილებელია მუნიციპალური ან სახელმწიფო პროგრამის განვითარება და განხორციელება, რაც მაწანწალა ძაღლების პრობლემას მოაგვარებს. 3. პროექტის ჯგუფმა პრობლემა აღუწერა „ვორლდ ვიჟენის“წარმომადგენელს, რის შემდეგაც ახალგაზრდებისთვის გაკეთდა ახალგაზრდული ცენტრი. ასევე, პროექტის ჯგუფის დახმარებით, საინიციატივო ჯგუფის მიერ დაწერილი პროექტი დაფინანსდა და გაკეთდა ინტერნეტ–კაფე.
	გომარო	1. სარწყავი წყლის რაოდენობა არასაკმარისია. 2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ ჰყოფნის სოფელს. 3. ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი არ არის არაფორმალური განათლება.	1. შეფასდა სარწყავი წყლის სისტემის ორი ალტერნატიული ვარიანტი. ა) წყალშემკრები ავზის გაკეთება მთაში შეუძლებელია, რადგან მეწყერის დიდი რისკია. ბ) ტუმბო „ირეკსონი“ ვერ იმუშავებს არასაკმარისი დებეტის გამო შესაძლებელია გრუნტის წყლების შემკრები ავზის გაკეთება სავარაუდო ღირებულებით 10,000 აშშ დოლარი. 2. სოფლის საინიციატივო ჯგუფი შეხვდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონულ წარმომადგენელს. მოგვარდა ტექნიკის საკითხი – სამინისტროს შ.პ.ს მექანიზატორი მოემსახურება თემს. 3. იხილეთ გვ. 16

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
ადიგენი	ვარხანი	1. სამელი წყლის რაოდენობა არასაკმარისია. 2. არ არის ინტერნეტის ქსელი.	1. პრობლემის მოსაგვარებლად დაიწერა პროექტი და გაკეთდა ხარჯთაღიცხვა დონორთან წარსადგენად. პროექტის წარდგენა ვერ მოხდა, რადგან მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსება ვერ შეძლო. 2. პროექტის გუნდის ადვოკატირებით სოფელში დაიდგა სპეციალური ანტენა. ინტერნეტით სარგებლობა შესაძლებელია.
ახალციხე	ქალაქი ახალციხე, ჯაყელის ქუჩა	1. ქუჩას არ აქვს გარე განათება.	1. პროექტის ჯგუფის დახმარებით, მოსახლეობის ხელმოწერებით დაიწერა წერილი მერთან გარე განათების დამონტაჟების მოთხოვნით. თხოვნა დაკმაყოფილდა და განათება დამონტაჟებულია.
	აწყური	1. არ არის ნაგვის ურნები. 2. სასმელი წყლის სისტემა დაზიანებულია.	1. პროექტის ჯგუფი ესაუბრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. დაიდგა ნაგვის ურნები. 2. გამგეობის ინფორმაციით იგეგმება სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. საინიციატივო ჯგუფმა თვალი უნდა მიადევნოს პროცესს.
	საძელი	1. სარწყავი წყლის სისტემა ამორტიზირებულია. 2. საბავშვო ბაღი სარემონტოა.	1. გამგეობის ინფორმაციით. იგეგმება სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. საინიციატივო ჯგუფმა თვალი უნდა მიადევნოს პროცესს. 2. პროექტის ჯგუფი ესაუბრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, შედეგად გარემონტდა საბავშო ბაღი.
ახალქალაქი	ახალქალაქი	1. შიდა გზები დაზიანებულია 2. უპატრონო ძაღლების რიცხვი იზრდება.	1. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ შეკეთდა შიდა გზები. 2. აუცილებელია მუნიციპალური ან სახელმწიფო პროგრამის განვითარება და განხორციელება, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარება.
	პტენა	1. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. 2. არ არის სარწყავი წყალის სისტემა. 3. არასაკმარისია სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა.	პრობლემების მასშტაბურობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა რეაგირება და მოგვარება.
	ოლავერდი	1. სასმელი წყალი არ მიეწოდება 80 ოჯახს. 2. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. 3. სოფელში მისასვლელი გზა დაზიანებულია.	1. იხილეთ გვ, 14 2. საინიციატივო ჯგუფმა უნდა მიმართოს შესაბამის კომპანიას ოლავერდთან დაკავშირებული გაზიფიცირების გეგმის გასარკვევად. 3. უნდა მოხდეს ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
ნინოწმინდა	**ნინოწმინდა**	1. სასმელი წყლი დაბინძურებულია 2. საბავშვო ბაღი ვერ აკმაყოფილებს მსურველთა რაოდენობას. 3. კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა არ არსებობს.	პრობლემების მასშტაბურობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა პროექტის ფარგლებში მათზე რეაგირება და მოგვარება
	სპასოვკა	1. სოფლისკენ მიმავალი გზა დაზიანებულია. 2. არ არის საბავშვო ბაღი. 3. არ არის მედ. პუნქტი.	1/2. უნდა მოხდეს ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან 3. სოფლის მოსახლეობამ ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც მოითხოვდნენ მედ. პუნქტის გახსნას. განცხადება გადაიგზავნა მხარის რწმუნებულთან და ჯანდაცვის სამინისტროში.
	პატარა ხანჩალი	1. სასმელი წყალი არ მიეწოდება მოსახლეობის დიდ ნაწილს. 2. სოფლის შიდა ცენტრალური გზა უამინდობის დროს გაუვალი ხდება. 3. საკლასო ოთახების იატაკი და კედლები დაავადებულია სოკოს სპორებით.	1/2. უნდა მოხდეს ადვოკატირება ადგილობრივ ხელისუფლებასთან. 3. სკოლის სამეთვალყურეო საბჭომ პროექტის ჯგუფის ჩართულობით მიმართა განათლების სამინისტროს პრობლემის აღწერით და მოგვარების თხოვნით. 2016 წელს სკოლა ჩაისვა განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურის განსახორციელებელი საქმიანობის პრიორიტეტებში.

დანართი III – ქვემო ქართლი

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლება	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება/მოგვარება
რუსთავი	**მეგობრობის 35 ა, XX საჯარო სკოლა**	1. სკოლაში დადის ახლო კორპუსებში მცხოვრებ მოსწავლეთა 90%. მშობლები შეწუხებული არიან, რომ უამინდობის დროს გაჩენილ გუბეებში ბავშვს სკოლის ეზოში შესვლისას ხშირად უსველდება ფეხსაცმელი.	1. სკოლის საინიციატივო ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებას ადგილობრივ ორგანიზაციებთან და კერძო პირებთან, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სამშენებლო მასალების შეძენაში. სამუშაოს შესრულების უზრუნველყოფა შეუძლია სკოლის ადმინისტრაციას.
		2. სკოლას არ აქვს ირგვლივ ღობე, ის 90-იან წლებში მოსახლეობამ მოიპარა და ჩააბარა ჯართში. სკოლის ეზოს ტერიტორიაზე მოსახლეობა ყრის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. მაწანწალა ძაღლები იყრიან თავს.	2. სკოლას გაკეთებული აქვს ეზოს კაპიტალურად შემოღობვის ხარჯთაღრიცხვა (ღირებულება 60 000 ლარი). საჭიროა ინვესტორის მოძიება.
		3 . სადარბაზოში არსებული სანაგვე ბუნკერი სანიტარულ პრობლემებს უქმნის მოსახლეობას. ბინადართა აზრით, უნდა მოხდეს ბუნკერების კორპუსის გარეთ გატანა.	3. ადგილობრივების მიხედვით, პრობლემა მოგვარდა მერიის გადაწყვეტილებით – ბუნკერი გარეთ გაეტანათ.
	მე-18 მიკრორაიონი 12 ა კორპუსი	1. კორპუსის ფასადზე ბეტონის ფილების გადაბმის ადგილებიდან წვიმის დროს საცხოვრებელ ბინებში წყალი შედის.	1. კორპუსის ამხანაგობამ ან საინიციატივო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს თანხის ნაწილობრივი შეგროვება და/ან მოიძიოს დაფინანსება და დაუკავშირდეს შესაბამის მომსახურების სააგენტოს, რომელსაც შეუძლია სამუშაოების შესრულება.
		2. საცხოვრებელი კორპუსის ახლოს მდებარეობს დაუსრულებელი, მშენებარე და ავარიული შენობა, რომელიც ნაგავსაყრელად არის ქცეული. კორპუსის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ შენობა საშიშია ბავშვებისთვის, რომლებიც გაფრთხილების მიუხედავად თამაშობენ მის სიახლოვეს.	2. საჭიროა ქალაქის მერიისგან ინფორმაციის მიღება, თუ რას აპირებენ შენობასთან დაკავშირებით. თუ არ არის არაფერი დაგეგმილი, მოსახლეობამ უნდა გააგრძელოს პრობლემის მოგვარების ადვოკატირება.
		3. სპორტული მოედნის არარსებობა. კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძლება მოეწყოს მოედანი.	3. უნდა მიემართოს მერიას ამ საკითხის გადასაწყვეტად.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლება	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება/მოგვარება
რუსთავი	**ინტერნატის დასახლება**	1. სადარბაზო მოუწესრიგებელია, საჭიროებს რემონტს და განათების დამონტაჟებას. 2. მოსახლეობას სურს კორპუსის ახლოს მდებარე ნაძვნარში სკვერის და საბავშვო მოედნის მოწყობა. 3. კორპუსთან მისასვლელ გზაზე საჭიროა სანიაღვრის და ჯებირის გაკეთება.	1. ადგილობრივმა მოსახლეობამ წერილით მიმართა მერიას. მოსახლეობის თქმით, მერიამ მოახდინა ამ საკითხზე რეაგირება. 2. პირველ ეტაპზე უნდა გაირკვეს ფართობის მფლობელის ვინაობა და ამის შემდგომ დაიგეგმოს საქმიანობა. 3. ადგილობრივების თქმით, ქალაქის მერიამ მოაგვარა აღნიშნული საკითხი.
გარდაბანი	**მუნიციპალური ცენტრი, დევნილთა თემი**	1. საკანალიზაციო ჭები დაუხურავია. 2. კორპუსის შიდა საკანალიზაციო სისტემა ამორტიზირებულია. 3. კორპუსთან არსებული სპორტული მოედანი დაზიანებულია.	1. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა კომპანია რუსთავწყალს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული საკანალიზაციო სისტემა. ჯგუფის თქმით, კომპანიამ საკანალიზაციო ჭები დახურა. 2. საინიციატივო ჯგუფის თქმით, მათი მიმართვის საფუძველზე ქურთისა და ერედვის გამგეობებმა გარდაბნის მუნიციპალიტეტთან ერთად გამოძებნეს სახსრები. გაარემონტეს კორპუსის შიდა საკანალიზაციო სისტემა. 3. გარდაბნის მუნიციპალიტეტმა აღადგინა დევნილთა თემში არსებული დაზიანებული სპორტული მოედანი
	სოფელი ნაგები	1. არსებული ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფისთვის არ არსებობს სამუშაო სივრცე. 2. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია. 3. სოფელში არ არის მატარებლის ბაქანი, რაც დისკომფორტს უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას.	1. საინიციატივო ჯგუფს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გარდაბნის ადგილობრივმა ორგანიზაციამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ვექტორი“ აჩუქა ოფისის ინვენტარი. ადგილობრივმა თვითმმართველობამ მათ გამოუყო ოთახი შეკრებებისთვის. ჯგუფის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კავკასიური ინსტიტუტის ტრენინგებში. 2. ადგილობრივების თქმით, გზის მოწესრიგების სამუშაოები დაწყებულია. 3. საჭიროა ადგილობრივმა საინიციატივო ჯგუფმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ერთობლივად მიმართონ საქართველოს რკინიგზას სოფლის გაჩერებაზე ბაქანის მოწყობის თაობაზე.
	სოფელი ვახტანგისი	1. სოფელში ახალაშენებულ უბანს ბუნებრივი აირი არ მიეწოდება (სოფლის ძველი ნაწილი გაზიფიცირებულია). 2. საბავშვო ბაღი და სკოლა ერთ შენობაში ფუნქციობს. შესაბამისად, ორივე განიცდის ფართის სიმცირეს. 3. ადგილობრივების თქმით, სოფლის ცენტრში კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე განთავსებული მაგთისა და ბილაინის ანძები ზიანს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას.	1. საჭიროა შესაბამის კომპანიასთან მოლაპარაკება უბნის გაზიფიცირების შესაძლებლობაზე. 2. მუნიციპალური პროგრამით დაიწყო ბაღის მშენებლობა. დასრულების შემდეგ ძველი შენობა საჯარო სკოლას გადაეცემა და ფართის პრობლემა ბაღსაც და სკოლასაც მოეხსნება. 3. დაიწყო ხელმოწერების შეგროვება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის სახელზე, რათა შეესწავლათ ვახტანგისში ჩადგმული ანძების საკითხი. თუმცა ხელმოწერები ვერ შეგროვდა.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლება	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება/მოგვარება
მარნეული	**მარნეული**	1. მოსახლეობის დაბალი სამოქალაქო ცნობიერება 2. ქალაქი დაბინძურებულია. განსაკუთრებით პრობლემურია ქალაქში გამავალი არხი, რომელშიც თავს იყრის მთელი ქალაქის ნარჩენები. 3. ქალაქის ცენტრალური კანალიზაცია ამორტიზირებულია.	1/2. იხილეთ გვ. 20 3. ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაიწყო მარნეულის ქუჩებში საკანალიზაციო მილების ეტაპობრივად შეცვლა.
	სოფელი კიროვკა	1. სოფელში არსებული სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია. 2. სასმელი წყალი არასაკმარისია და დაბინძურებულია. 3. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია.	1. მოსაძიებელია დონორები, რომელთა ინტერესშიც შედის სკოლების მშენებლობა, ან უნდა მოხერხდეს განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურულ პროგრამებში ჩასმა. 2. მოსახლეობის აქტიურობის შედეგად ადგილობრივმა თვითმმართველობამ მოახდინა სოფლის სასმელი წყლის სისტემით დაქსელვა. მომავალი წლისათვის იგეგმება წყლის თითოეულ ოჯახში შეყვანა და გამრიცხველიანება. 3. თემმა ეს საკითხი სოფლის პროგრამაში უნდა შეიტანოს.
	სოფელი დიდი მუღანლო	1. მუნიციპალურ ცენტრთან დამაკავშირებელი გზა დაზიანებულია. 2. პერიოდულად იშლება სკოლის ეზოს ტერიტორიის დიდი მოცულობა მდინარე ხრამის მიერ. 3. სკოლის სახურავი დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენას.	1. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ მალევე დაიწყო მარნეულსა და დიდ მუღანლოს შორის კაპიტალური გზის მშენებლობა. გზა უკვე დასრულებულია. 2. უნდა მოხდეს საკითხის შესწავლა და საფრთხეების განსაზღვრა. ასევე, უნდა განისაზღვროს, რა თანხა სჭირდება ნაპირგასამაგრებელ სამუშაოებს. 3. სკოლა გადაიხურა და ჩაუტარდა რემონტი.
ბოლნისი	**ბოლნისი ფარნავაზ მეფის ქუჩა (ძველი გერმანული უბანი)**	1. სახლების უმეტესი ნაწილის სახურავები შესაცვლელია. 2. საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაშია. 3. ეზოებს ესაჭიროება სადრენაჟე სისტემა.	საკითხით დაინტერესებული იყო სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო. ჩატარდა უბნების ინვენტარიზაცია. გერმანული უბნის ამ სახლებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2017 წელს გერმანელების კოლონიის დაარსების 200 წლისთავის აღსანიშნავად ზოგიერთ სახლში აღდგენითი სამუშაოები იგეგმება.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლება	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება/მოგვარება
ბოლნისი	**სოფელი აკაურთა**	1. სასმელი წყალის სიმცირე მწვავედ დგას მთელ სოფელში. 2. სოფელში არ არსებობს სპორტულ-კულტურული საგანმანათლებლო ცენტრი. 3. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია.	1. სოფლის პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციის საკითხი და ამით წყლის პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრება. 2. მოსახლეობის მოთხოვნების მიხედვით პროექტის ფარგლებში შემუშავდა საპროექტო წინადადება და წარედგინა დონორს. 3. მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალური პროგრამით სოფლის შიდა გზა მოსწორდა.
	სოფელი სენები	1. სასმელი წყლის წყარომდე მისასვლელი გზა დაზიანებულია (ცუდი ამინდის დროს 200–მეტრიანი მონაკვეთი გაუვალი ხდება). 2. სკოლაში არ აქვთ დენი და საპირფარეშო. 3. სარიტუალო ჭურჭლის უქონლობის გამო საჭიროების შემთხვევაში ქირაობენ მეზობელი სოფლიდან.	1. მოსახლეობა ვერ მივიდა შეთანხმებამდე, გზა მოეხრეშათ, თუ მოებეტონებინათ. იმავე პერიოდში სოფლის პროგრამებით წყლის მილები იქნა გაყვანილი. ამით პრობლემა არ გადაჭრილა, რადგან მოსახლეობის თქმით, სამუშაოები ბოლომდე არ დასრულებულა. 2. პროექტის წარმომადგენელმა ინფორმაცია მიაწოდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში შესაბამის განყოფილებას. შედეგად სკოლას დენის მიწოდება აღუდგა. 3. თემი გეგმავს, საკითხის მოგვარება სოფლის პროგრამამ გაითვალისწინოს.
დმანისი	**დმანისი**	1. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების რაოდენობა არასაკმარისია. 2. სამჭიდში მოასპარეზე სპორტსმენებს და ადგილობრივ ახალგაზრდებს არ აქვთ სავარჯიშო სივრცე და სათანადო ინვენტარი. 3. ადგილობრივი ახალგაზრდების დიდი ნაწილისთვის არ არის ხელმისაწვდომი უმაღლესი და პროფესიული განათლება.	1. პრობლემა მალევე გადაიჭრა – ჯანდაცვის სამინისტრომ ქალაქებს და მათ შორის დმანისსაც გადასცა სარგებლობაში ახალი სასწრაფო დახმარების მანქანები. 2. იხილეთ გვ. 19 3. საჭიროა საკითხის ლობირება ადგილობრივ ხელისუფლებასა და განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.
	სოფელი ბაზაქლო	1. დაზიანებულია შიდა სასოფლო გზები. 2. სასმელი წყლის სისტემა გაუმართავია. 3. სოფლის სასაფლაო გასაფართოვებელია და მოსაწყობია სანიაღვრე არხები	1. შიდა გზების რეაბილიტაცია ჯერ კიდევ 2012 წელს მოხდა სოფლის პროგრამით, მაშინ გზები მოიხრეშა. თუმცა შიდა გზები სოფელში ისევ პრობლემურია. 2. სოფლის პროგრამით სასმელი წყლის სისტემა აღდგენილია. 3. სოფლის მცხოვრებლებმა მიმართეს თვითმმართველობას თხოვნით, გადმოეცათ სასაფლაოს გვერდით მდებარე ფართობი. მოსახლეობის თხოვნა დაკმაყოფილდა. სოფელს გადაეცა სასაფლაოსთვის მიწა, რომელიც შემოიღობა და სასაფლაოს თავზე გაიჭრა სანიაღვრე გზა.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლება	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება/მოგვარება
დმანისი	**სოფელი კამარლო**	1. სოფლის შიდა გზები გაუმართავია. 2. სოფლის შუაგულში მდებარე სასაფლაო შემოუღობავია. 3. სასმელი წყლის სათავე ნაგებობება გაუმართავია.	1. სოფლის პროგრამის ფარგლებში მოსწორდა გზა. 2. სოფლის მოსახლეებმა პრობლემის მოგვარების თხოვნით წერილით მიმართეს თვითმმართველობას. თხოვნა დაკმაყოფილდა და სასაფლაო შემოიღობა. 3. მოსახლეობის ჩართულობით მოხდა სათავე ნაგებობების გადახურვა.
თეთრიწყარო	**თეთრიწყარო**	1. ახალგაზრდული ცენტრის არარსებობა 2. სასმელი წყლის სისტემა გაუმართავია. 3. ქალაქში არ არის დასასვენებელი და სპორტული მინი–პარკები.	1. იხილეთ გვ. 19 2. მუნიციაპლიტეტი აგვარებს პრობლემას. 3. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თაოსნობით დასუფთავდა და მოეწყო დასასვენებელი პარკი და სპორტული მოედანი.
	ჯორჯიაშვილი	1. სასმელი წყალი დაბინძურებულია. 2. სოფლის საბავშვო ბაღში არ არის გაზი შეყვანილი, თუმცა სოფელი გაზიფიცირებულია.	1. ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ქაბურღილები დაიდგა და ჩატარდა წყლის მოძიების სამუშაოები. ამჟამად ძიება გრძელდება. სამუშაოებს ადგილობრივი თვითმმართველობა ასრულებს. 2. მოსახლეობის მიერ პრობლემის ადვოკატირების შემდეგ ბაღი გაზიფიცირებულია.
	სოფელი ჩხიკვთა	1. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. 2. სასმელი და სარწყავი წყლები საკმარისი არ არის. 3. სოფელში ახალგაზრდობას არ აქვს ფეხბურთის მოედანი.	1. საინიციატივო ჯგუფის მიერ უნდა მოხდეს 'სოკარ ჯორჯიასთან' კითხვით მიმართვა, თუ როდის იგეგმება მათ სოფელში ბუნებრივი აირის შეყვანა. 2. სოფლის პროგრამაში შესაყვანია სასმელი წყლის საკითხი. სოფელსა და მდინარეს შორის დიდი მანძილის გამო დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული პრობლემის მოგვარება. 3. საჭიროა, ადგილობრივებმა მოიძიონ დაფინანსება მოედნისთვის გამოსადეგი ადგილის მოსასწორებლად და მოსაწყობად.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლება	პრობლემის არსი	პრობლემაზე რეაგირება/მოგვარება
წალკა	**წალკა**	ძველი საავადმყოფოს შენობაში შეჭრილი ოჯახების საცხოვრებელი პირობები გაუსაძლისია. ფართები არ აქვთ საკუთრებაში.	ეკომიგრანტების პრობლემებთან დაკავშირებით პროექტის გუნდი შეხვდა ამ საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტაში ჩაერთო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. აჭარიდან წამოსულ ეკომიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები მასშტაბურია და მოითხოვს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებას. პარალელურად, საჭიროა ამ ჯგუფის უფლებების დაცვაზე და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მუშაობა.
	სოფელი იმერა	1. სახნავ-სათესი მიწები არ არის საკმარისი. 2. საცხოვრებელი სახლები დასაკანონებელია საკუთრებაში. 3. სკოლა განთავსებულია ამორტიზებულ კერძო სახლში.	
	სოფელი საბეჭისი	1. სახნავ-სათესი მიწები საკმარისი არ არის. 2. საძოვრები საკმარისი არ არის. 3. საცხოვრებელი სახლები დასაკანონებელია.	

დანართი IV – შიდა ქართლი

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
გორი	**ქალაქი გორი ციხის უბანი**	1. ქალაქ გორში არსებული დიდი ტურისტული ნაკადი გორის ციხეს არ სწყალობს. მიზეზი ტურისტული ინფრასტრუქტურის არქონაა. 2 სტარტაპისთვის ბიზნესის წამოსაწყებად კრედიტის აღება რთულია. 3. ავტომობილის შემოსასვლელად უბანში მხოლოდ ერთი გზაა გახსნილი და მცხოვრებლებს ექმნებათ პრობლემა.	1/2. პროექტის ფარგლებში შექმნილი საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა ორგანიზაციად „გორი დაუნთაუნი“. გორის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, გროვდება ხელმოწერები პეტიციაზე, რათა გორისციხე გორის მერიას გადაეცეს. „გორი დაუნთაუნი“ მუშაობს უბნის სოციო-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის დაფინანსების მოძიებაზე. 3. მოეწყო შეხვედრა საინიციატივო ჯგუფის წევრებსა და ქალაქ გორის მერიის წარმომადგენლებს შორის, სადაც განიხილეს უბანში შემოსასვლელი გზის რეგულირების საკითხი. გამგეობამ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა და პრობლემა მოგვარდა – გაიხსნა მეორე შემოსასვლელი.
	ხელთუბანი	1. სოფელში მიწისქვეშა წყლები უხვადაა, მაგრამ სარწყავი წყალი ხელმიუწვდომელია ამოღების სირთულისა და ენერგომატარებლების სიძვირის გამო. 2. საბავშვო ბაღი ავარიულ მდგომარეობაშია და თითქმის არ ფუნქციობს.	1. მომზადდა სადემონსტრაციო ქარის ტუმბოს დამონტაჟების პროექტი, რომლის ღირებულებაა 13.500 ევრო. ამ ეტაპისათვის ვერ მოიძებნა დონორი ორგანიზაცია. 2. საჭიროა. ამ საკითხის გარშემო მობილიზდეს თემი და მან ადგილობრივ ხელისუფლებასთან აწარმოოს ადვოკატირება.
	სვენეთი	1. სოფელში არ არსებობს ნაგვის ურნები. დიდი რაოდენობით ნაგავი იყრება სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2. სოფლის შიდა გზები დაზიანებულია 3. სარწყავი წყალი ყველა ნაკვეთს ვერ მიეწოდება. არხის წყალი არაა საკმარისი.	1. პრობლემის არსის გასაცნობად საინიციატივო ჯგუფი შეხვდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა და სოფელში დაიდგა სანაგვე ურნები და ხდება ნაგვის გატანა. 2. საჭიროა, ამ საკითხის გარშემო მობილიზდეს თემი და მან ადგილობრივ ხელისუფლებასთან აწარმოოს ადვოკატირება. 3. პროექტის ჯგუფის მიერ მოწვეულმა სპეციალისტმა შეაფასა წყლით მომარაგების პერსპექტივა ტუმბო „ირეკსონის“ საშუალებით. კონკრეტული შემთხვევისათვის დიდი კაპიტალდაბანდების და მაღალი რისკის შემცველი კაშხალის საჭიროების გამო მეთოდზე უარი ითქვა.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
კასპი	**კონსტიტუციის ქუჩა**	1. უბანს არ აქვს საკანალაზაციო სისტემა.	1. გაიმართა შეხვედრა მუნიციპალიტეტში საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობით, სადაც გაირკვა, რომ არსებობს მთლიანად კასპის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი. პროექტის კონსტიტუციის ქუჩის ნაწილის ასლი გადაეგზავნა ქუჩის მცხოვრებთ. გეგმის მიხედვით გაკეთდება 2017 წელს.
	ახალციხე	1. მექანიზაციის ბაზა მდებარეობს სოფლიდან მოშორებით. დასაქირავებელი ტექნიკა ძნელად ხელმისაწვდომია, რის გამოც აგროვადები ირღვევა და ფერხდება მეურნეობის განვითარება. 2. სარწყავი წყლის ამორტიზებული სისტემის გამო არ ირწყვება 200 ჰა მიწის ფართობი. 3. არსებული სპორტული მოედანი დაზიანებულია და გამოუსადეგარია.	1. იგეგემება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ამ საკითხზე თემის შეხვედრა მექანიზაციის ბაზების რეორგანიზააციის შემდეგ. 2/3. საჭიროა, ამ საკითხის ირგვლივ მობილიზდეს თემი და მან ადგილობრივ ხელისუფლებასთან ადვოკატირება აწარმოოს.
	თელიანი	1. სოფელი არაა გაზიფიცირებული. 2. ამორტიზირებული სარწყავი სისტემის გამო არ ირწყვება 100 ჰა ფართობი. 3. დაზიანებულია შიდა სასოფლო გზები.	1. ადგილობრივმა საინიციატივო ჯგუფმა უნდა მიმართოს შესაბამის კომპანიას ამ საკითხზე ინფორმაციის მოსაძიებლად. 2. გასაკეთებელია არხი, რაც დიდი თანხმებთან არის დაკავშირებული. საჭიროა მელიორაციის ძველი მეთოდების ახლით ჩანაცვლება. 3. პრობლემის განხილვის პერიოდში მუნიციპალიტეტმა დაიწყო სოფლის ცენტრალური ქუჩის რეაბილიტაცია.
ქარელი	**ნინოშილის ქუჩა**	1. სასმელი წყალი ცუდად მიეწოდება სახოვრებელ კორპუსს. 2. ბინის სახურავი დაზიანებულია. 3. საცხოვრებელი კორპუსის წყალარინების სისტემა ძველია და ხშირად იქმნება ავარიული სიტუაციები.	1. მობინადრეთა შეკრებაზე გადაწყდა, რომ საკითხი დაეყენებინათ მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტმა მიმართვის გარეშე გამოცვალა მილი და აღდგა წყალმომარაგება. 2/3. საერთო საბინაო პრობლემების მოსაგვარებლად გადაწყდა საბინაო ამხანაგობის შექმნა. საქმიანობა შეჩერდა, რადგანაც მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შემუშავებული ამხანაგობების დახმარების პროგრამა.
	გიგანტი	1. სოფელს არ აქვს სპორტული მოედანი. 2. მოსახლეობის თქმით, სიძვირის გამო ვერ ახერხებენ ბუნებრივი აირის მილების საკუთარ სახლებში შეყვანას. 3. სოფელში არსებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცული შენობა ავარიულ მდგომარეობაშია.	1. გადაწყდა ახალგაზრდული ასოციაციის შექმნა და სტადიონის კეთილმოწყობაში მხარდაჭერა. მიუხედავად დაპირებისა, ახალგაზრდებმა ვერ უზრუნველყვეს ორგანიზება და ასოციაციის დაარსება. 2. საჭიროა მოხდეს ამ პრობლემის მქონე სამოხლეობის მობილიზება და ერთიანი სტრატეგიის შემუშავება. 3. საინიციატივო ჯგუფმა უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტს შენობის გარემონტების მოთხოვნით.

მუნიციპა-ლიტეტი	დასახლების აღწერა	პრობლემის არსი	პრობლემების მოგვარება/რეაგირება
ქარელი	ქვენატკოცა	1. სოფელში დაზიანებულია სარწყავი წყლის შიდა სასოფლო და სოფლამდე მიწოდების სისტემა. 2. გაუმართავია სასმელი წყლის სისტემა. 3. მოსახლეობა მიიჩნევს, მიწის ნაკვეთების დარეგისტრირების პროცესი დროში გაწელილია და რეგისტრაცია დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.	1. გადაწყდა მორწყვის წვეთოვანი მეთოდით სადემონსტრაციო ბაღის მოწყობა, მაგრამ ვერ მოიძებნა საერთო საკუთრებაში არსებული ფართობი სადემონსტრაციო სისტემის მოსაწყობად. 2. უნდა მოხდეს ადვოკატირება პრობლემის შესწავლის და მასზე რეაგირების მიზნით. 3. დაინტერესებული მოქალაქეები უნდა შეხვდნენ და გაიცნონ პრობლემები შესაბამისი სერვისის მომწოდებლებს.
ხაშური	სურამი იერუსალიმის ქუჩა	1. არ არის საკანალიზაციო სისტემა, 2. უბნის შიდა გზა დაზიანებულია. 3. სურამის ციხიდან ქვების ცვენა საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.	1. გაიმართა კონსულტაციები და შეხვედრები მუნიციპალიტეტის გამგებელთან. მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა პრობლების მოსაგვარებლად, დაიწყო პროექტირება. სამწუხაროდ, გამოყოფილი ფინანსების ფარგლებში ვერ მოხერხდა პროექტის რეალიზება. 2. რადგან იგეგმებოდა კანალიზაციის სისტემის გაყვანა, გზის საფარის აღდგენა გადაიდო მომდევნო წლებისთვის. 3. რადგან ციხე არ არის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს უფლება, რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ პრობლემაზე. ადვოკატირება უნდა მოხდეს ცენტრალური ხელისუფლების დონეზე.
	ხცისი	1. შეშის ვაუჩერების განაწილების დაგვიანების გამო დროულად ვერ ხერხდება შეშის ტყიდან გამოტანა და მოსახლეობა შეშას კერძოდ იძენს. 2 . ბუნებრივი აირის მილებით სოფელი დაიქსელა, მაგრამ არ მოხდა ქსელის დატვირთვა. 3. სოფელში არ არსებობს საერთო მოხმარების ფართი, სადაც მოხდება თემისთვის აქტუალური საკითხების განხილვა და გადაწყვეტა.	1. იგეგმებოდა გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეხვედრა. საორგანიზაციო პერიოდი დაემთხვა ბარათების გაცემის პერიოდს. სახელმწიფომ დროულად დაარიგა ბარათები, პრობლემა არარელევანტური გახდა. 2. პრობლემა გადაწყდა 2016 წლის დეკემბერში. 3. იხილეთ გვ. 25
	ნაცარგორა	1. ცენტრალური გზიდან გადასახვევზე არაა მითითებული სოფელი და მიმართულება. 2. სოფელი არ არის გაზიფიცირებული. 3. სოფლის შიდა და გარე (შემავალი) გზა დანგრეულია. ცუდი გზის გამო მოსახლეობას უჭირს მეზობელ სოფელში სამი კილომეტრის მოშორებით ექიმთან წასვლა.	1. მოკვლევის დროს გვქონდა კონსულტაცია ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, რაც საკმარისი გამოდგა მაჩვენებლის დასაყენებლად. 2. ადგილობრივების საინიციატივო ჯგუფმა უნდა მიმართოს შესაბამის კომპანიას ამ საკითხზე ინფორმაციის მოსაძიებლად. 3. საინიციატივო ჯგუფმა ადვოკატირება უნდა აწარმოოს ადგილობრივ ხელისუფლებასთან.